ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 21 იანვარი, 2019 | №16 (7871) | ფასი: 60 თეთრი

ლიბიაში 23 წლის ქართველი მეზღვაური დავით რაზმაძე დაიკარგა

ის აგვისტოს ომის გმირის, ზაზა რაზმაძის შვილია გვ.3

17 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

ვინ მოკლა ინსპექტორი

ქართული დეტექტივი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ხაზარაძე, კვირიკაშვილი, ქუმსიშვილი და ბექუაშვილი ოპოზიციურ პარტიას ქმნიან?

„კალაძე პარტიაში მხოლოდ ფეისის ფუნქციას ასრულებს“

ლადო სადღობელაშვილი: „2020 წელს ივანიშვილი საქართველოს დატოვებს“ გვ.2

არჩილ თალაკვაძეს ელჩად უშვებენ?

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე გახდება გვ.3



„ნაციონალების მომხრეთა რაოდენობა იზრდება, „ოცნების“ — იკლებს“

გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „ხელისუფლებას მოსამართლეთა ამ სიის გასვლა არ უნდა აწყობდეს“

გვ.3

სუს-ის უფროსის პირველ მოადგილედ გრიგოლ ლილუაშვილი დაინიშნა

სამართალი გვ.7

12 წლის გიგა ბაგაშვილი აფრიკის დასახლებაში გარდაცვლილი იპოვეს

„არც სუნი იყო, არც არაფერი“

ყაზტრანსგაზის დაკავებული თანამშრომლები ბრალს არ აღიარებენ

ჭიდაობაში მომხდარი ინციდენტის გამო გამოძიება დაწყებულია

პოლიციამ ბათუმში მომხდარი ყაჩაღობის სამი ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

ეკონომიკა გვ.6



თიბისი ბანკისაგან მამუკა ხაზარაძის გამოყოფა წარმოუდგენელი და შეუძლებელია

გოცირიძე: „მეოცე დღეა, სომხეთს ჩვენი მილსადენით უკანონოდ მიეწოდება გაზი“

ცეზარ ჩოჩელი: „საპენსიო რეფორმამ ბიზნესს მუშახელი გაუძვირა“

ISSN 1987-9385

5 რუსეთი სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს ომით აშინებს

4 სოსო ცინცაძე: „საქართველოში ოპონენტების შეურაცხყოფა კარგ ტონად ითვლება“

4 აკაკი ზოიძე: „სიგარეტს სარგებელი არც ეკონომიკისთვის მოაქვს და არც ჯანმრთელობისთვის“

5 მამუკა ტუსკაძე: „გაგვაგებინეთ, ვის საკუთრებაშია „ყაზტრანსგაზ-თბილისი!“

ხაზარაძე, კვირიკაშვილი, ქუმსიშვილი და ბეჟუაშვილი ოპოზიციურ პარტიას ქმნიან?

„კალაძე პარტიაში მხოლოდ ფეისის ფუნქციას ასრულებს“

შორენა მარსაგიშვილი

ლადო სადღობელაშვილი: „2020 წელს ივანიშვილი საქართველოს დატოვებს“

უპირებდნენ თუ არა ფულიანი ქართველები ივანიშვილს ჩაჩოჩებას, რატომ გაუჩინარდა ქუმსიშვილი, როგორ დაბრუნდება პოლიტიკაში კვირიკაშვილი, შემოვა თუ არა პოლიტიკურ ბაზარზე მამუკა ხაზარაძე? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამოქალაქო აქტივისტი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

ლადო სადღობელაშვილი:

– მედიაში არაერთ ჩინოვნიკზე გავრცელებულა სკანდალური ჩანაწერები, რომლებიც ხელისუფლების კულუარებიდან გამოდის. ამ სკანდალური მასალების გასაჯაროებით პირველ რიგში ბიძინა ივანიშვილია დაინტერესებული. ის ასეთი მეთოდებით ძირავს იმ ადამიანებს, რომელთა ჩამოშორებაც უნდა.

დიდი რეზონანსი გამოიწვია მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ დაწყებულმა კამპანიამ. თითქმის ყველა ექსპერტი აცხადებს, რომ ივანიშვილმა საბანკო სექტორს გამოუცხადა ბრძოლა. ამ თემის გადასაფარად მედიაში გამოაგდეს ახალი სკანდალი – თითქოს ხაზარაძე გიორგი კვირიკაშვილთან ერთად ივანიშვილის ჩაჩოჩებას ცდილობდა.

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ ასეთი სურათი დაიხატა – „ოცნების“ ლიდერი საბანკო სექტორს კი არ ძირავს, არამედ უმადურ კვირიკაშვილსა და ხაზარაძეს გადაუხადა სამაგიერო.

– ხაზარაძე პოლიტიკაში რომ აპირებდა შემოსვლას, ამაზე ადრეც საუბრობდნენ. ამის თაობაზე პირველი განცხადება გიგლა ბარამიძემ გაავრცელა. მან „ახალ თაობასთან“ წელიწად-ნახევრის წინ თქვა, რომ კვირიკაშვილი ხაზარაძის პოლიტიკაში შემოყვანას აპირებდა, რათა თავად უფრო გაძლიერებულიყო. ამის შესახებ თქვენც საუბრობდით. ბიძინამდე ასე გვიან მივიდა ეს ამბავი?

– ხაზარაძე ყველანაირად ცდილობდა, რომ კვირიკაშვილი „მოეხოდა“ და გაეძლიერებინა, რათა მას ივანიშვილის დამოუკიდებელი თამაში ეწარმოებინა. ხაზარაძემ კვირიკაშვილის პრემიერობისას უბრალოდ გაიბრწყინა და ხელში ჩაიგდო ძალიან მსუყე ბიზნესი – პორტი.

– ანაკლიის პორტზე საუბრობთ?

– დიახ. ყოფილი პრემიერის დახმარებით მან ივანიშვილთან დაახლოებული ვანო ჩხარტიშვილიც კი ჩააჩოჩა, გვერდზე გასწია პორტის აშენების სხვა მსურველებიც. საჭირო იყო კვირიკაშვილის პრემიერად რაც შეიძლება დიდი ხნით დატოვება, რათა ხაზარაძეს ანაკლიის პორტის მშენებლობის დასრულება მოესწრო.

ამ საქმეში სერიოზულად ფიგურირებდა დიმიტრი ქუმსიშვილი, რომელსაც ვიცეპრემიერის პოსტი ეკავა. ის ხან ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობდა, ხან – ფინანსთა სამინისტროს. ახლა მის გვარს რატომღაც არავინ ახსენებს.

ხაზარაძე-კვირიკაშვილის სკანდალის გაჟღერების შემდეგ შევეცადე ქუმსიშვილთან დაკავშირებას. როგორც მისმა ოჯახის წევრებმა მითხრეს, ყოფილი ვიცეპრემიერი პოლიტიკიდან არის წასული და არანაირ პროცესებში ჩარევას არ აპირებს.

– მისი გაქრობის სურვილი გასაგებია, მაგრამ თქვენ რატომ გინდოდათ ქუმსიშვილთან დაკავშირება?

– სიმართლის გაგება მინდოდა. ჩემი სურვილი წმინდა სპორტული ინტერესიდან გამომდინარეობდა. მხოლოდ ის გავარკვიე, რომ ქუმსიშვილი იმალება და მისი თემა სრულებით ჩაფარცხულია.

არადა, ის ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშე იყო. მისი და კვირიკაშვილის ტანდემი იყო ხაზარაძის პროექტი. ეს ორი ადამიანი, როგორც ერთი მთლიანი, ისე მოიაზრებოდა და, როცა ყოფილ პრემიერზე ვაკეთებთ აქცენტს, იქვე უნდა მოვიაზროთ ექს ვიცეპრემიერიც.

როცა ხაზარაძეზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ ის საქართველოშია გამდიდრებული და ყველაზე წარმატებული ქართველი ბიზნესმენია. მას საქართველოში ძალიან ბევრი ადამიანი ემადლიერება. მიუხედავად იმისა, რომ ბანკირია და ბანკირობა მევახშეობას გულისხმობს, მაინც სწორი ადამიანია. მას არც ბევრი მტერი ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ ამხელა ფული აქვს, ჩვეულებრივი ადამიანივით ცხოვრობს.

– სამაგიეროდ, ახლა ჰყავს სერიოზული მტერი – ივანიშვილი.

– აქამდე ვიცოდით, რომ მას „ოცნების“ ლიდერი ანაკლიის პორტის გამო დაეჯახა. ახლა გავიგეთ, რომ მათი დაპირისპირების მიზეზი სულ სხვა რამ ყოფილა – ივანიშვილმა მას პოლიტიკურად გააქტიურება არ აპატია.

„ოცნების“ ლიდერმა ძალიან კარგად იცის, რომ ერთადერთი, ვინც მას მოერევა, იქნება ასევე დიდი ფულის პატრონი. 2018 წლის არჩევნებმა დაამტკიცა, რომ ხალხს „ოცნებისა“ და მისი ლიდერის აღარ სჯერა.

ასეთ ვითარებაში უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, ვის აქვს 1 მილიარდი და ვის – 7. ამ შემთხვევაში აუცილებელია დიდი ფული. საქართველოში არჩევნების მოსაგებად სულ რაღაც რამდენიმე ათეული მილიონის დახარჯვაა საჭირო.

– მაინც რამდენი მილიონია საჭირო?

– 100 მილიონი მაქსიმუმია. მამუკა ხაზარაძეს, ეტყობა, აქვს ივანიშვილის შესარყევად საჭირო კაპიტალი. პირველმა მეოცნებემ ეს საფრთხე დაინახა და შეტევაზე გადავიდა.

წარმოიდგინეთ, რა მოხდება, მამუკა ხაზარაძის ფული რომ დავუდოთ გაერთიანებულ ოპოზიციას. ამ გაერთიანებამ საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში სძლია „ოცნების“ კანდიდატს. ასეთ შემთხვევაში „ოცნება“ ნებისმიერ არჩევნებს პირველივე ტურში წააგებს.

– ივანიშვილი შეტევაზე კი გადავიდა, მაგრამ არ ეშინია, რომ საპასუხო დარტყმა მიიღოს? მან ჩამოიშორა ღარიბაშვილი, კვირიკაშვილი. აპატიებენ ივანიშვილს, ისინი რომ გაწირა და კალაძისკენ გადაიხარა?

– ერთი შეხედვით ასე ჩანს, რომ კვირიკაშვილი კალაძისკენ არის გადახრილი. ეს ასე არ არის. კალაძისკენ გადახრა „ოცნების“ ლიდერს არაფერში სჭირდება. თბილისის მერი არაფერს წარმოადგენს.

– კალაძე არ წარმოადგენს არაფერს?

– პოლიტიკურად არაფერს წარმოადგენს. ის ფეისია და მეტი არაფერი. თავის დროზე მოქალაქეთა კავშირი და აღორძინება აქტიურად იყენებდა ასეთ ფეისებს, რომ ხალხის გული მოეგოთ. კალაძეც ასეთი ფეისი და ჩვეულებრივი ბუტაფორიაა.

რაც შეეხება ღარიბაშვილისა და კვირიკაშვილის მტრობას, ივანიშვილზე ისინი ნაწყენი არიან, მაგრამ მტრობას ვერ გაუბედავენ.

– რატომ ვერ გაუბედავენ?

– როცა ადამიანს მაღალ თანამდებობაზე უშვებენ, სადაც საჭიროა, იქ მისი სუსტი წერტილები კარგად იციან. საჭიროების შემთხვევაში ამ ადამიანებს 2-3 წუთში დააოკებენ.

– ივანიშვილს კვირიკაშვილსა და ღარიბაშვილზე კომპრომატები აქვს?

– შეიძლება, რომელიმეზე კომპრომატი აქვს, რომელიღაცას კი შვილი ჰყავს „დაზალოგებული“. ასე რომ, არა მგონია, რომელიმე მათგანმა რამე გაბედოს.

– ფაქტია, რომ კვირიკაშვილი უბედავდა – გავრცელებული ინფორმაციით, ის და ხაზარაძე ივანიშვილის ჩაჩოჩებას აპირებდნენ.

– ეს არ არის გაბედვა. აქ სულ სხვა რამესთან გვაქვს საქმე. კვირიკაშვილის პოსტი ხაზარაძის ფულს შეეწირა.

თავის დროზე კვირიკაშვილი პრემიერი პარლამენტში მყოფი ფულიანი დეპუტატების წყალობით გახდა. ბიზნესმენი დეპუტატების დიდი ნაწილი ხაზარაძესთან არის კავშირში. ღარიბაშვილის წასვლის შემდეგ ისინი მივიდნენ ივანიშვილთან და კვირიკაშვილის კანდიდატურა შესთავაზეს პრემიერად. „ოცნების“ ლიდერი მაშინ ამ შეთავაზებას დათანხმდა.

როდესაც ივანიშვილმა ამ ადამიანებისგან რაღაც საშიშროება იგრძნო, ეგრევე შეტევაზე გადავიდა.

ძალიან საინტერესო რამეები ხდება – დეპუტატები, რომლებიც ხაზარაძესთან და დავით საგანელიძესთან ასოცირდებიან, რაღაცნაირად ოპოზიციაში აღმოჩნდნენ.

– ვის გულისხმობთ?

– ბესელია, ფოფხაძე, ჭიჭინაძე, გოგიჩაიშვილი.... ისინი დღეს პრაქტიკულად ოპოზიციაში არიან.

– ისინი მურუსიძის გამო არიან აღშფოთებული.

– მურუსიძე მხოლოდ საბაბია. აქ სხვა რაღაცასთან გვაქვს საქმე. ეს ხალხი, სადაცაა, შექმნის პარტიას. ისინი ტყუილად კი არ ხვდებიან არასამთავრობოებსა და დიპლომატებს.

ეს პარტია ოპოზიციური კი იქნება, მაგრამ ივანიშვილს ბევრს ვერაფერს გაუბედავენ.

– აბა რანაირი ოპოზიციური პარტია იქნება? დღეს ხელისუფლება ივანიშვილია.

– ეს პარტია იქნება მართული ოპოზიცია. ისინი დაეჯახებიან „ქართულ ოცნებას“. არ გამოვრიცხავ, რომ ირმა ინაშვილი ამ ახალ პარტიასთან ერთად გამოვიდეს მომავალ არჩევნებზე.

– გამოდის, რომ მამუკა ხაზარაძე მაინც შემოვა პოლიტიკაში?

– მას ახლა ორი გამოსავალი აქვს, ან თავი უნდა დაღუნოს და ივანიშვილს უთხრას, გინდა შემწვი, გინდა მომხარშე, ან წინააღმდეგობა გასწიოს. წინააღმდეგობის გაწევა ნიშნავს ოპოზიციაში წასვლას.

აქ ჩრდილოვან რაღაცას ვხედავ – „ოცნების“ ლიდერი ხელოვნურად ცდილობს ახალი ოპოზიციური ძალის შექმნას, რომელიც მისი დასაფინანსებელი იქნება.

ამ კაცს უკვე მოსწყინდა პარტიების დაფინანსება. მან გადაწყვიტა, სხვას დააფინანსებინოს მის მიერ მართული ოპოზიცია. საამისოდ იდეალური ვარიანტია მამუკა ხაზარაძე.

– ისე გამოდის, რომ ოპოზიციაში წასვლას ხაზარაძეს ივანიშვილი აიძულებს.

– კი არ გამოდის, ასეა. უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ხაზარაძე, კვირიკაშვილი, ქუმსიშვილი და ბეჟუაშვილი ოპოზიციურ პარტიას შექმნიან.

– ეს სამი გავიგე და ბეჟუაშვილი რა შუაშია?

– მისი მიტისკვა შემთხვევით არ დაწყებულა. ამ ეტაპზე მას ჯერ სომხურად ტისკავენ მხოლოდ.

– სომხური მიტისკვა როგორია?

– ფრთხილი და მოზომილი. ერთია, რომ აიძულებენ პოლიტიკაში წასვლას და მეორეა, მისი ბიზნესის ხელში ჩაგდება სურთ. კალაძეს „ყაზტრანსგაზის“ დათრევა უნდა, ივანიშვილს – ტყიბულის მაღაროების.

– ივანიშვილს რაში აწყობს ასეთი ფულიანი ხალხი ოპოზიციაში?

– მე ზემოთ სუსტ წერტილებზე გესაუბრეთ. ივანიშვილს აქვს ინფორმაციები, რომლებითაც ნებისმიერ მათგანს 2-3 წუთში დააოკებს. ამ სიტუაციაში გახარიას წინ წამოწევა არ არის შემთხვევითი. სუსი, ფაქტობრივად, შსს-მ დაიქვემდებარა და ძალიან მალე საქართველო პოლიციური რეჟიმის მქონე სახელმწიფოდ გადაიქცევა, ისეთად, მერაბიშვილის დროს რომ იყო. „ოცნების“ ლიდერი ასე შეძლებს ფულიანი ოპოზიციის გაკონტროლებას.

არ გამოვრიცხავ, რომ ის 2020 წლისთვის საქართველოდან აპირებდეს წასვლას. დარჩენილ დროში ყველაფერს ამოიღებს, რისი ამოღებაც შეიძლება საქართველოდან და წავა.

– სად წავა?

– მოძებნის რომელიმე ქვეყანას., მაგრამ მან აქ ისეთი საქმეები წამოიწყო, მეეჭვება, ქვეყნიდან სულ წავიდეს. იმისთვის, რომ მის ბიზნესებს საქართველოში საფრთხე არ შეექმნას, ისეთ ხალხს დატოვებს,რომელთა გაჩერებაც მარტივად იქნება შესაძლებელი.

ამ სიტუაციაში ივანიშვილმა უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა. აქამდე ყველაფერს ამერიკელებს აბრალებდა, მაგრამ ახლა ეგ ოინი აღარ გამოუვა.

– რა ოინი არ გამოუვა?

– ყველა საკადრო თუ სხვა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე ინფორმაციას ავრცელებდა, რომ აშშ-ის საელჩომ მოითხოვა ასე. ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და ამიტომ ყველა გაგებით ეკიდებოდა ვითომ მათ მოთხოვნას.

ეს ამბავი აშშ-ის ყურამდეც მივიდა. ისინი ელჩის დანიშვნას აყოვნებენ. ასე რომ, ივანიშვილი ხელს ვეღარ გაიშვერს მათკენ და ყველა გადაწყვეტილებაზე თავად აგებს პასუხს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ნაციონალების მომხრეთა რაოდენობა იზრდება, „ოცნების“ — იკლებს“

ვახტანგ ძაბირაძე: „ხელისუფლებას მოსამართლეთა ამ სიის გასვლა არ უნდა აწყობდეს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– პატონო ვახტანგ, მოსამართლეებთან დაკავშირებით ხმაურმა თითქოს გადაიარა. პროცესის პოლიტიკური ნაწილი დასრულდა?

– არა. გეთანხმებით, რომ ვნებები თითქოს ჩაცხრა, მაგრამ პოზიციური ბრძოლა გრძელდება. როგორც კი დაკომპლექტდება სამუშაო ჯგუფი, დაიწყება მოსამართლეების დანიშვნის პროცესი. ეს პროცესიც გაცოცხლდება.

ამ ეტაპზე ვითარება, ასე თუ ისე, დასტაბილურდა, რადგან ბესელიას ჯგუფმა „ქართული ოცნება“ არ დატოვა და უმრავლესობის შიგნიდან აგრძელებს საქმიანობას, რადგან მათთვის ეს პოლიტიკურად გაცილებით მომგებიანია.

რა იქნება ამ დაპირისპირების ფინალი, ცნობილი არ არის. ივანიშვილის განცხადებიდან გასაგებია, რომ ის უფრო ახალგაზრდულ ფრთას უჭერს მხარს, მაგრამ გადაჭრით მას ეს არ უთქვამს. ახლა ივანიშვილი დაპირისპირების ამ პროცესს თვალს ადევნებს, ასევე ზომავს საზოგადოების რეაქციას და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას.

ბესელია არ წავიდა რადიკალიზაციისკენ, მან ამით საშუალება მისცა ივანიშვილს არჩევანის არა ახლა, არამედ გარკვეული დროის შემდეგ.

– ბესელიას გარიცხვის საკითხი რაზე იყო დამოკიდებული?

– თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებდა ივანიშვილი, მაგრამ ბესელიამ ეს დაპირისპირება არ გაამწვავა და დატოვა ისე, როგორც არის. ახლა ყველა მოლოდინის რეჟიმშია. ბესელია მკვეთრ დაპირისპირებაზე რომ წასულიყო, ის უნდა დაჰპირისპირებოდა არა კობახიძეს, არამედ ივანიშვილს, რაც არ გააკეთა.

– ივანიშვილმა თავისი სათქმელი თქვა?

– არა, არც ის ყოფილა რადიკალური. თუმცა, ფაქტია, რომ მან ეს საკითხი ჯერ ღიად დატოვა. ვნახოთ, ახლა ორივე მხარე პროცესების განვითარების მოლოდინშია.

– ასეთი ინფორმაციაც არის, რომ სახეცვლილად მაინც გავა ეს სია. ელოდებით, რომ მართლაც გავიდეს?

– ალბათ, ძალიან უნდა გაჭირდეს. თუ ეს სია გავიდა, მაშინ „ქართული ოცნების“ მოქმედება ალოგიკური და აუხსნელი იქნება. მოსამართლეების საკითხზე საზოგადოებაში კონსენსუსია, თვით უმრავლესობაშიც კი მათ, ვინც თავის დროზე ამ სიის გასვლას ფიქრობდა, დღეს პოზიცია შეცვალა. ახლა ისინი პროცედურებზე საუბრობენ.

– ივანიშვილის სურვილს გამორიცხავთ, რომ მას სურდეს ამ სიის გასვლა?

– სულაც არ გამოვრიცხავ, მაგრამ, როგორც „ქართული ოცნების“ შემთხვევაში იქნება ალოგიკური, ისევე იქნება ივანიშვილის შემთხვევაში. მას რატომ უნდა უნდოდეს?! იმის თქმა, რომ ეს ის ხალხია, ვინც ყველას ბრძანებას შეასრულებს და მათ შორის ივანიშვილის ბრძანებას და ამიტომ არც ეს არის ლოგიკური.

– რატომ?

– იმიტომ, რომ სხვა ხალხიც მოიძებნება ასეთი ბრძანების შესასრულებლად. არ არის აუცილებელი, რომ მაინცდამაინც მურუსიძემ შეასრულოს. ამიტომ არ მესმის. ამიტომ ვამბობ, რომ იმდენად ალოგიკურია, რომ მაშინ ჩნდება განცდა, რომ ეს ყველაფერი სპეციალურად კეთდება, რათა „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები წააგოს.

– თუ ეს სია გავიდა, მაშინ 2020 წელს „ოცნება“ არჩევნებს წააგებს?

– არჩევნების ბედი ახლაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. საპრეზიდენტო არჩევნებმა ეს ყველაფერი გამოაჩინა. დიდი ანალიზი არ არის საჭირო, რომ დაინახო, რომ თითქმის თანაბარი მხარდამჭერები ჰყავთ ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ ამ ეტაპზე. დღეს ნაციონალურ მოძრაობას უკეთესი პოზიციები აქვს, ვიდრე „ქართულ ოცნებას“.

როგორც ჩანს, ნაციონალური მოძრაობისადმი ანტიპათია დაიძლია. თუ მხარდამჭერთა გაზრდის მაჩვენებელს ჩახედავთ, ნახავთ, რომ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა რაოდენობა იზრდება, მაშინ როდესაც „ქართული ოცნების“ – იკლებს.

დღეს მოსახლეობას პრეტენზიები აქვს ხელისუფლებაში მყოფი „ქართული ოცნებისადმი“ და არა – ოპოზიციაში მყოფი ნაციონალური მოძრაობისადმი. თუ ახლა ამ ყველაფერს მოსამართლეების ეს სიაც დაემატება, მაშინ „ქართული ოცნება“ როგორ მოიგებს არჩევნებს?! მით უფრო, არჩევნები ვერ გაყალბდება ისე, რომ ეს არ იყოს შესამჩნევი და ვერც მაჟორიტარები იმაჟორიტარებენ ისე, როგორც აქამდე. საკმარისია, ბოლო 30 წლის ჩვენი პოლიტიკური ისტორია გაიხსენონ და ყველაფერს მიხვდებიან.



ახლა ამ სიის მიღების კი არა, მკვეთრი გადაწყვეტილებების მიღების დროა, მაგრამ რატომღაც ჯერ კიდევ „ქართული ოცნება“ ლოდინისა თუ თვლემის რეჟიმშია.

არჩილ თალაკვაძეს ელჩად უშვებენ?

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე გახდება

შორენა მარსაგიშვილი

მმართველი პარტია მორიგი საკადრო ცვლილებების მოლოდინში გაისუსა (თავად სუსშიც ბევრი რამე შეიცვალა). მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, საპარლამენტო თანამდებობებზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება.

„ქართული ოცნების“ საპარლამენტო გუნდში ერთმანეთი ლამის აკუწეს და ამ საყოველთაო წიოკის ფონზე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ არჩილ თალაკვაძეს ხმაც კი არ ამოუღია.

ის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ გაუჩინარდა, რამაც სერიოზული ეჭვები გააჩინა. ბოროტი ხმები ამბობდნენ, რომ ის ყოფილ ხელისუფლებასთან აპირებდა საერთო ენის გამონახვას.

ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს თალაკვაძე პარტიის ახალგაზრდულ ფრთას ედგა სათავეში. ყოფილ დეპუტატ მეგი გოცირიძეს თუ დავუჯერებთ, საპარლამენტო უმრავლესობის მოქმედი ლიდერი 2012 წლის პირველ ოქტომბერს მიშამიშას ბოლო ხმაზე გაჰკიოდა.

„ქართული მარშის“ ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ მას სხვა ცოდვები გაუხსენა. ბრეგაძის თქმით, თალაკვაძე 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ რუსთაველზე სხვა ნაციონალებთან ერთად აღლუმს მართავდა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, მართალია, „ოცნების“ ახალგაზრდულ ფრთას წარმოადგენს. მაგრამ ის კობახიძის კლანს რაღაცნაირად ჩამოშორდა. ზოგიერთი მეოცნებე იმასაც ამტკიცებს, რომ მას პარლამენტის თავმჯდომარესთან უთანხმოება აქვს.

მმართველ პარტიაში საჯაროდ ამ ინფორმაციას უარყოფენ, პირად საუბრებში კი დაპირისპირებაზე ბევრს საუბრობენ.

სწორედ კულუარებიდან გამოჟონა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ საგაზაფხულო სესიისთვის არჩილ თალაკვაძე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის პოსტს დატოვებს.

ამავე წყაროს ინფორმაციით, საპარლამენტო უმრავლესობას მამუკა მდინარაძე ჩაუდგება სათავეში. ამ დროისთვის მამუკა მდინარაძე საპარლამენტო ფრაქცია „ქართულ ოცნებას“ ხელმძღვანელობს.

იურიდიული კომიტეტიდან ეკა ბესელიას წასვლის შემდეგ ეს პოსტი მას უნდა დაეკავებინა, მაგრამ კომიტეტი დავით მათიკაშვილს ანდეს, რომელიც ირაკლი კობახიძისა და მდინარაძის თანაკურსელია.

გავრცელებული ინფორმაციით, თალაკვაძეს ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში ელჩად გაუშვებენ.

მოვლენების ასე განვითარებას კატეგორიულად გამორიცხავს ჯერ ისევ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი. ის პირობას დებს, რომ თუ რამე შეიცვლება, მედიას თავად მიაწვდის ამის შესახებ ინფორმაციას.

პარლამენტის ვიცესპიკერ გია ვოლსკის თუ დავუჯერებთ, „ოცნებას“ ახლა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის შესაცვლელად არ სცხელა. ის ამბობს, რომ მმართველ გუნდს ისედაც ბევრი საქმე აქვს.

თალაკვაძის მსგავსად, რაღაც დროის განმავლობაში ვოლსკიც ღრმა მდუმარებაში იყო – „ოცნებაში“ მიმდინარე დაპირისპირებას ცოცხალი თავით არ იმჩნევდა.

მაშინ ითქვა, რომ ივანიშვილი მას პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს უმზადებდა და ვოლსკის ამიტომაც ეკავა ნეიტრალური. გავრცელებული ინფორმაციით, მთავარი მეოცნებე ირაკლი კობახიძეს საკონსტიტუციო სასამართლოში უპირებდა გადაყვანას, გამოთავისუფლებულ სავარძელში კი ვოლსკი ჩაჯდებოდა.

სუს-ის უფროსის პირველ მოადგილედ გრიგოლ ლილუაშვილი დაინიშნა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველ მოადგილედ გრიგოლ ლილუაშვილი დაინიშნა.

როგორც სუს-ის განცხადებაშია ნათქვამი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილედ ალექსანდრე ხოჯევანიშვილი დაინიშნა.

„გრიგოლ ლილუაშვილი 2017 წლის დეკემბრიდან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობას იკავებდა. სუს-ის უფროსის მოადგილედ დანიშვნამდე გრიგოლ ლილუაშვილი 2016 წლის მოწვევის პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე იყო. საპარლამენტო არჩევნებამდე მას თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის პოსტი ეკავა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილედ ალექსანდრე ხოჯევანიშვილი დაინიშნა. 2017 წლის ნოემბრიდან ალექსანდრე ხოჯევანიშვილი შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსის თანამდებობას იკავებდა. აღნიშნული თანამდებობის დაკავებამდე, 2015-2017 წლებში ალექსანდრე ხოჯევანიშვილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე იყო“, – ნათქვამია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადებაში.

ლიბიაში 23 წლის ქართველი მეზღვაური დავით რაზმაძე დაიკარგა

ის აგვისტოს ომის გმირის, ზაზა რაზმაძის შვილია

ლიბიაში 23 წლის ქართველ მეზღვაურს ეძებენ.

დავით რაზმაძე ლიბიის დროშის ქვეშ მცურავ ხომალდ „დოგან ბეიდან“ 7 იანვარს გაუჩინარდა. გემი ლიბიის ნავსადგურში იდგა. დაკარგული მეზღვაურის ოჯახს მომხდარი მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ შეატყობინეს.

დავით რაზმაძის დაკარგვა მისმა თურქმა შემცვლელმა აღმოაჩინა და ადგილობრივ პოლიციას მიმართა. საქმეში ქართული მხრიდან ჩართული არიან შინაგან საქმეთა სამინისტრო და საზღვაო პოლიცია.

დავით რაზმაძემ ლიბიის გემზე მუშაობა 3 თვის წინ დაიწყო.

– 7-ში დაიკარგაო, მწერს კომპანია. ჯერ მომწერეს, მერე დამირეკეს. ახლა არის გემი ლიბიაში. მე ამბავი გამაგებინეს 14 იანვარს. ჩაერია ლიბიის პოლიცია, მერე აქ, შინაგან საქმეთა სამინისტროში განცხადება დავწერე. ბავშვი, ფაქტობრივად, გაქრა, არც ცოცხალი არ იციან, არც მკვდარი. არაფერი ვიცით, – განაცხადა დავით რაზმაძის ბიცოლამ, ნინო ლაბაძემ.

ეკონომიკის სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში ამბობენ, რომ მომხდარის შესახებ ინფორმაცია რამდენიმე დღის წინ მიიღეს.

სააგენტოს ხელმძღვანელ თამარ იოსელიანის განცხადებით, სააგენტო დეტალების დადგენას ამ დრომდე ცდილობს. მისი განმარტებით, სამუშაოები განახლდა.

– დღეს განვაახლეთ ისევ სამუშაოები. ლიბიაში არ არის სტაბილური სიტუაცია. განახლდა საომარი მოქმედებები და, შესაბამისად, ჩვენს სახელმწიფოს რაც კი შესაძლებლობა აქვს იმისთვის, რომ დაადგინოს ქართველი მეზღვაურის ადგილსამყოფელი, ყველაფერი გამოყენებული გვაქვს, – განაცხადა თამარ იოსელიანმა.

დავით რაზმაძე ზაზა რაზმაძის შვილია, რომლის აგვისტოს ომის დროს გადაღებულმა ფოტომ მსოფლიო მოიარა.

თავად ზაზა რაზმაძე, რომელიც ფოტოზე გარდაცვლილ ძმას გლოვობს, 2014 წელს უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. ის კარალეთის დევნილთა დასახლებაში კოტეჯის წინ ჯიხურის დადგმისას რკინის კონსტრუქცია სადენებს შეეხო და გარდაიცვალა.

ნათესავების განცხადებით, რაზმაძე ბათუმის საზღვაო აკადემიაში სწავლობს. იგი მეზღვაურია და გემზე ყოფნისას გაუჩინარდა. ბებიის, მედეა ცეცხლაძის, განცხადებით, შვილიშვილი 7 იანვრის შემდეგ ოჯახს აღარ დაჰკავშირებია.

– ზღვაში იყო გასული, მანამდეც იმყოფებოდა ორჯერ, 14 იანვარს დაგვიკავშირდნენ კომპანიის წარმომადგენლები და გვითხრეს, რომ დათოს ვეღარ პოულობდნენ, მისი ადგილსამყოფლის დადგენა ამ დრომდე ვერ მოხერხდა. კონკრეტულად რომელ ქვეყანაში იმყოფებოდა გემი დათოს დაკარგვის დროს, ზუსტი ინფორმაცია არ გვაქვს, საშინელ დღეში ვართ, – ამბობს გაუჩინარებული დავით რაზმაძის ბებია მედეა ცეცხლაძე.

„საქართველოში ოპონენტების შეურაცხყოფა კარგ ტონად ითვლება“

იაგო ნაცვლიშვილი

16 იანვარს დილომში საცხოვრებელ კორპუსში გაზის გაჟონვის გამო აფეთქება მოხდა. ტრაგედიის დროს 4 ადამიანი, მათ შორის ერთი ბავშვი დაიღუპა. მომდევნო დღეს მთავრობის სხდომა გადაიდო და 17 იანვარი გლოვის დღედ გამოცხადდა. რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, ტრაგედია პოლიტიკოსებს შორის კინკლაობად იქცა. ნაციონალური მოძრაობის წევრმა ლევან ხაბეიშვილმა დედაქალაქის მერი კორუფციაში დაადანაშაულა, კახა კალაძემ კი მას – მთაწმინდიდან, ხოლო მიხეილ სააკაშვილს ამსტერდამიდან გამოქანება „ურჩია“.

რა ფენომენია პოლიტიკოსების ასეთი საქციელი, რით შეიძლება აიხსნას მათი ასეთი მოქმედება და ხომ არ იქონიებს ეს გავლენას მათ პირად რეიტინგზე? – ამის შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე საუბრობს:

– მოვისმინეთ დედაქალაქის მერის საკმაოდ არაკორექტული განცხადება. რა პოლიტიკური ფენომენია ეს, როდესაც ასეთი ტრაგედიის შემდეგ პოლიტიკოსები ერთმანეთთან კინკლაობით არიან დაკავებული?

– პირველ რიგში ვიტყვი იმას, რომ, როგორც ჩანს, ჩვენთან ადგილი აქვს სამსახურებრივ გულგრილობას, არაკვალიფიციურობასა და უპასუხისმგებლობას. ხალხი იყო „ყაზტრანსგაზიდან“, ყურადღება არ მიაქციეს, წავიდნენ და ამის შემდეგ აფეთქდა. ასეთი კანონზომიერებაა, როდესაც ქვეყანაში „მონასტერი ირევა“, დისციპლინა იშლება, ეს მხოლოდ მმართველი პარტიის სტრუქტურებს არ ეხება. ეს ეტყობათ ამ ქვეყანაში არსებულ უცხოურ კომპანიებსა და ინვესტორებსაც. ეს გადამდებია, ერთგვარად ვირუსივითაა.

– ეს როგორ უნდა მოგვარდეს? როგორ წარმოგიდგენიათ, რომ უპასუხისმგებლობა პასუხისმგებლობით შეიცვალოს?

– ყველაზე მარტივი, ტრადიციული და ისტორიული გზა არის ქანჩების მოჭერა პასუხისმგებლობაზე და დისციპლინის აღდგენა.

– ანუ უნდა დაისაჯონ ისინი, ვინც უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ საკუთარ საქმეს?

– რასაკვირველია. ძნელია ამაზე საუბარი, მაგრამ ხალხი დაიღუპა. თუმცა, თავის დროზე ვიღაცა რომ დასჯილიყო თუნდაც წყალდიდობის დროს, ან გვახსოვს, როდესაც ფონიჭალაში იყო ასეთი შემთხვევა, მეტროში ჩამოინგრა ჭერი... არავინ დასჯილა. მოხდა და დამთავრდა.

– ამ შემთხვევებზე გამოძიების პასუხებიც არ ვიცით.

– კი. გვეუბნებიან, რომ გამოძიება მიმდინარეობს. მე არ გამიკვირდება, რომ მეტროში ჭერის ჩამონგრევის ფაქტზე ხელისუფლების პასუხი ისევ ის იყოს, რომ გამოძიება მიმდინარეობს. შეიძლება, 5-10 წელი გვითხრან ეს.

რაც შეეხება თქვენს კითხვას თბილისის მერთან დაკავშირებით, ეს არის პირადული მომენტი. არიან ადამიანები, რომლებიც ბილწსიტყვაობას მიჩვეულნი არიან და არიან ადამიანები, რომლებიც არ არიან ამას მიჩვეულნი. მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ ჩვენს სახელმწიფო მოხელეებს ჯერ კიდევ არ აქვთ გაცნობიერებული, თუ რას და ვის წარმოადგენენ ისინი. ისინი უკვე სახელმწიფოს წარმოადგენენ. კალაძე იქნება თუ ვინც არ უნდა იყოს, ისინი არ არიან ერთი ადამიანი, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავზე აგებს პასუხს. ის უკვე საკუთარ თანამდებობაზეც აგებს პასუხს. 1.5-მილიონიანი ქალაქის მერი ხარ, ამას რევოლუციამდე ქალაქის თავს ეძახდნენ.



სოსო ცინცაძე: „ჩვენ აღმოსავლეთი ვართ, აღმოსავლეთისთვის დამახასიათებელი ყველაზე ცუდი უნარ-ჩვევებით“

მესმის, რომ ჩვენთან კარგ ტონად ითვლება ასეთი ტონი. ეს მხოლოდ კალაძე არ არის და მხოლოდ მას ვერ დავადანაშაულებთ. გვყავდა პრემიერ-მინისტრები, რომლებიც ასევე ბილწსიტყვაობდნენ. კარგ ტონად ითვლება, თუ ოპონენტებს შეურაცხყოფ და უტაქტოდ მოიხსენიებ. ვიღაცა გააკრიტიკებს, ვიღაცა იტყვის, რომ აბა რა, ეგრე უნდათ მაგას.

– თუმცა, კონტექსტსაც ხომ აქვს მნიშვნელობა? თუნდაც ხუმრობა რომ დავარქვათ ამას, რამდენად მისაღებია, როცა წინა დღეს მთავრობა გლოვის დღეს აცხადებს და მეორე დღეს მერი ასეთი ტონით საუბრობს?

– ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ პირფერობასთან გვაქვს საქმე. არავინ არ გლოვობს. უბრალოდ, ის ტრაგედია მხოლოდ ოჯახის წევრებს შეეხო. ნებისმიერი სახელმწიფო ჩინოვნიკი ვალდებულია, რომ გარეგნულად მაინც თავშეკავებული იყოს ამ ტრაგიკულ დღეებში. ყველგან პირფერობასთან გვაქვს საქმე, ვითომ ხელისუფლებას ხალხი ადარდებს. სრული ლუსტრაციაა, რომ არავინ არავისზე არ ზრუნავს.

– ობიექტურობისთვის მეორე მხრიდანაც შევხედოთ. რამდენად გამართლებული იყო კონკრეტული ოპოზიციური პარტიის ბრალდებები ასეთ ცხელ გულზე, როცა კორუფციაში დაადანაშაულეს. ცოტა ხომ არ იჩქარეს?

– რასაკვირველია. აქ მართალი არ არის. უბრალოდ, კალაძის საქციელი ეს იყო პასუხი. მაგრამ, სხვა არის, რომ ოპოზიცია „ტანკში ზის“. ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ის პასუხს არაფერზე არ აგებს. მას შეუძლია, დააბრალოს ხელისუფლებას, მაგრამ მეორე მხარეს თანამდებობა ავალდებულებს მეტ თმენას. მოწინააღმდეგეს თავი არ უნდა გაუყადრო, არც უნდა შეიმჩნიო ეს.

– ეს ალბათ პოლიტიკურ გამოცდილებასა და პოლიტიკურ კულტურაზეც არის დამოკიდებული.

– რასაკვირველია. ამას სჭირდება მთელი ქვეყნის მეტი პოლიტიკური კულტურა და არა მხოლოდ ერთი პირის, იქნება კალაძე, ცინცაძე თუ სხვა. ყველაფერზე ბრალდებებს ხალხი ეჩვევა და თვითონ ბრალდებაც ფასს კარგავს უკვე. ტყუილი და მართალი ისე აიზილება ერთმანეთში, რომ იგივე ოპოზიციას არავინ არაფერს დაუჯერებს. თუნდაც იგივე ხაბეიშვილი რომ ავიღოთ, როდესაც ყოველდღე გამოდის და ასობით ადამიანს ბრალდებას უყენებს, იცის, რომ ვერავის ვერ დაუმტკიცებს, ამ ბრალდებებს ფასი ეკარგება. აქედან მომდინარეობს, რატომ თხოულობენ ვიღაცები გამოხატვის თავისუფლების აკრძალვას. არ შეიძლება ასე ხელაღებით ბრალდებები. იყო დრო, როცა საქართველოში ყველაზე გავრცელებული ბრალდება იყო მოღალატეობა. ყველა რუსეთის აგენტი იყო.

– კონტექსტი იყო ცოტა სხვა. ხელისუფლება იყო მაშინ ბრალმდებლის როლში.

– მართალია, მაშინ ხელისუფლება აბრალებდა, მაგრამ ამას არ აქვს მნიშვნელობა. ქვეყანა ნელ-ნელა უკან მიდის. მთელი ქვეყნის დეგრადაცია ხდება. მორალური პრინციპების დეგრადაცია ხდება. ისტორიული კულტურის დეგრადაცია ხდება. ჩვენს ერს დიდი კულტურა დარჩა მხოლოდ წარსულსა და მოგონებებში. აღარავის უკვირს, როცა პარლამენტარები საშინლად გაუმართავი ქართულით საუბრობენ. მხოლოდ პრეზიდენტს არ ეხება ეს. რომელი სახელმწიფო მოხელეა, რომ გამართულად ლაპარაკობდეს?! სად გინახავთ სოლიდური დისკუსია?! ეს პოლიტიკური ტოქკშოუები თითქოს იმიტომ შემოვიდა, რომ დისკუსიის კულტურა კიდევ უფრო დაეცეს. ეს რეიტინგს უწევს სწორედ იმ წამყვანებს, რომლებიც ახერხებენ, რომ ეს ადამიანები ერთმანეთს მებრძოლი მამლებივით დაუპირისპირონ, ხანდაზმული ადამიანები. გამარჯვებული ამ პაექრობაში არის ის, ვისაც შეუძლია, უფრო ხმამაღლა იყვიროს და გადაფაროს მოწინააღმდეგე და საშუალება არ მისცეს, რომ მოწინააღმდეგემ თავისი აზრი გამოთქვას. მთელი უბედურება ის არის, რომ ხალხს მოსწონს ეს.

– იმის მიუხედავად, რომ ამბობთ, რომ ასეთი ტაქტი ხალხის ნაწილს მოსწონს, ხომ არ ფიქრობთ, რომ კალაძის ასეთი განცხადება, რომელმაც ბოლო პერიოდში იმატა, მის პირად რეიტინგზე უარყოფითად იმოქმედებს?

– სამწუხაროდ – არა. რეიტინგი ჩვენთან ეყრდნობა რეპუტაციას, მაგრამ რეპუტაციას ჩვენთან უკვე აღარანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, როგორ გიყურებს შენი ზემდგომი. როგორ გიყურებს მმართველი პარტია და მისი ხელმძღვანელობა და არა ის, ხალხში როგორი რეპუტაციით სარგებლობ. იგივე მოსამართლეები რომ ავიღოთ, დღეს თუ სადმე იგრძნობა რეპუტაციის უმწვავესი დეფიციტი, ეს სასამართლო სისტემაშია. პარადოქსია, რომ მოსამართლეებს, რომლებსაც არავინ აღარ ენდობა, ამათ ხელშია ჩვენი – ადამიანების ბედი. მათ ხელშია გასაღები, უდანაშაულო ადამიანებს ციხეში გამოკეტავენ თუ არა, ან დამნაშავეებს ქუჩაში გამოუშვებენ თუ არა. ე.ი. ჩვენს ბედს უნდა წყვეტდეს ადამიანი, რომელსაც უკვე აღარავინ ენდობა და საშინელი რეპუტაცია აქვს. ნორმალურ ქვეყნებში ადამიანების ბედს აღარ ანდობენ.

რასაკვირველია, ეს კალაძის რეიტინგზე არ იმოქმედებს. ნარმანიას კეთილგანწყობაზე იმოქმედა მისმა ფრაზამ, როცა მან ერთ-ერთ მოწინააღმდეგეთა ჯგუფის წარმომადგენელს „მაიმუნო ვირიშვილო“ უწოდა?! მართალია, მერი აღარ არის, მაგრამ დღეს ნარმანიას ხუთჯერ მეტი ხელფასი აქვს, ვიდრე დამსახურებულ პროფესორს, რომელსაც ევალება, რომ ქვეყანას მომავალი თაობა გაუზარდოს.

– კალაძის ეს განცხადება გაუცნობიერებლად წამოცდენა იყო თუ შეგნებულად იყო ნათქვამი, რომ დისკუსია გადაეტანა სხვა თემაზე და არა იმ პრობლემებზე, რომლებიც არის ქალაქში და ეს ამ ტრაგედიით კიდევ ერთხელ გამოჩნდა?

– არა. როგორც უკვე ვთქვი, ჩვენთან კარგ ტონად ითვლება ოპოზიციის შეურაცხყოფა. პოლიტიკური მოწინააღმდეგის შეურაცხყოფა კარგ ტონად ითვლება. კალაძით არ იწყება და არც მისით მთავრდება. კალაძემდე რამდენისგან მოგვისმენია ასეთი რაღაცები. ღარიბაშვილი რას ამბობდა ოპოზიციაზე პრემიერმინისტრობის დროს, გახსოვთ?

– ღარიბაშვილიც მახსოვს, სააკაშვილიც, კვირიკაშვილის გინებაც...

– ზუსტად ამას ვამბობ. როგორ ლაპარაკობდა სააკაშვილი ოპოზიციაზე, ხომ გვახსოვს?! ყველას რომ მოღალატეებს ეძახდა?! იგივე შევარდნაძე ოპოზიციას ბნელ ძალას რომ ეძახდა, ხომ გვახსოვს?! მაინც ჩვენ აღმოსავლეთი ვართ, აღმოსავლეთისთვის დამახასიათებელი ყველაზე ცუდი უნარ-ჩვევებით.

– თუმცა ევროპაში გვინდა.

– არა, ევროპაც არ გვინდა. ევროპა რომ გვინდოდეს, ევროპული ფასეულობებისა და ღირებულებების დადგენას რა უნდა?! არც დიდი ინვესტიციები სჭირდება და არც კაპიტალდაბანდებები. ცხოვრების დონეზე არ ვსაუბრობ. თუნდაც ადამიანთა შორის ურთიერთობები და მიმტევებლობა. რაზეც ევროპული ცივილიზაცია დგას, ამას, პოლიტიკური ნების გარდა, ხომ არაფერი სჭირდება?! საუბედუროდ, როგორც ჩანს, არ შეიძლება, იყო ქართველი და იყო ევროპელი. ევროსაბჭოში რომ მიგვიღეს, მახსოვს, როგორი სიამაყით ამბობდა ზურაბ ჟვანია – „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“. შესაძლოა, მე პესიმისტი ვარ, მაგრამ ვხედავ, რომ დღევანდელი ქართველობა ევროპულობასთან აბსოლუტურად შეუთავსებელია. დღევანდელი საქართველო ვერასოდეს გახდება ევროპული ქვეყანა.

ქრთამს ევროპაშიც იღებენ, ამერიკაშიც და ყველგან, მაგრამ მთავარია, რეაგირება როგორია, ხელისუფლება და ხალხი როგორ ხვდება ამას, რასაც ჰქვია ევროპულ ქვეყნებში საზოგადოება. ჩვენთან საზოგადოება აღარ არსებობს. ჩვენთან ხალხი ბრბოდ იქცა და არიან ბრბოს ლიდერები. მე პოლიტიკოსი არ ვარ, არც არავისი ხმები მაინტერესებს და არც არჩევნებში მონაწილეობას ვაპირებ, რომ ვთქვა, ხალხი ბრძენია-მეთქი. ჩვენი ხალხი არანაირი ბრძენი არ არის. ხალხი, რომელიც მეოთხე მთავრობას 80%-ით აგებინებს არჩევნებს და 2-3 წელიწადში ზოგს კლავს, ზოგს შეთქმულებებს უწყობს, ხოლო ზოგს 20%-იანი რეიტინგით ყრის, ეს ხალხი არ არის მზად ევროპული ცხოვრების წესისათვის და ევროპული კულტურისათვის. ნულიდან რომ დავიწყოთ ადამიანების აღზრდა, ამის დროც არ გვაქვს. საშინელი დეფიციტი გვაქვს.

გავიხედოთ, რამდენი უხილავი გამოწვევაა ჩვენ გარშემო. გამოწვევა მხოლოდ ის არ არის, რომ ტანკები მოგადგება საზღვარზე. გამოწვევები ჩანს, მაგრამ მმართველი ელიტა სირაქლემის პოზიციაში დგას. ელიტა საუკეთესოს ნიშნავს, მაგრამ რა საუკეთესონი არიან ხალხის ე.წ. რჩეულები?! ჩვენს საზოგადოებაში საუკეთესო ადამიანი ავირჩიეთ ამ რამდენიმე თვის წინ პრეზიდენტად?! ვეძებ სიტყვებს, შედარებით რბილს, მაგრამ ვერ ვპოულობ. ეს არის სამწუხარო რეალობა.

აკაკი ზოიძე: „სიგარეტს სარგებელი არც ეკონომიკისთვის მოაქვს და არც ჯანმრთელობისთვის“

რატომ გაძვირდა სიგარეტი

იანვრიდან სიგარეტი საშუალოდ 50 თეთრით გაძვირდა. საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, ფილტრიანი სიგარეტის ადვალური გადასახადი გასამმაგდა. გარდა ამისა, ფილტრიან და უფილტრო სიგარეტზე აქციზის დიფერენცირებული განაკვეთების გათანაბრებაც იგეგმება, რაც ნიშნავს, რომ უფილტრო სიგარეტის 1 კოლოფზე აქციზი 1.7 ლარი იქნება.

ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე „ახალ თაობასთან“ დეტალურად განმარტავს იმ მიზეზებს, თუ რატომ მიიღეს თამბაქოს გაძვირების გადაწყვეტილება.

– ბატონო აკაკი, ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ თამბაქოზე აქციზის ზრდას ევროკავშირში ყოფნა გვავალდებულებს. რა ვალდებულებას გულისხმობდა მინისტრი?

– როგორც ევროკავშირის ქვეყნებს აქვთ ვალდებულებები, ასევე გვაქვს ჩვენც სავალდებულოდ, რომ 2024 წლისთვის, მინიმუმ 60% უნდა იყოს აქციზი თამბაქოს ფასის, ანუ 90 ევრო დაახლოებით 1 კოლოფზე. 2024 წლამდე ნელ-ნელა უნდა გაიზარდოს ფასი, ეტაპობრივად. 2016 და 2017 წელს გაიზარდა, ახლაც და მომავალშიც გაიზრდება.

ამ ჭირისგან რომ გავთავისუფლდეთ მთელი მსოფლიო, ეს არის ერთადერთი სწორი გზა ამ მიმართულებით. 20-25 წლის წინ შემოიღეს ევროპის ქვეყნებმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ჩვენთანაც დიდი ხანია, ეს გადასახადი არსებობს, უბრალოდ, აქამდე ძალიან დაბალი იყო და ნელ-ნელა უნდა მოიმატოს.

დღეს თამბაქოს ფასი განვითარებულ ქვეყნებში, მაგალითად, ნიუ იორკში 17-18 დოლარია 1 კოლოფი. ეს არის შეგნებული გადაწყვეტილება, რომ მაქსიმალურად შეზღუდული იყოს ნებისმიერი ადამიანი ფინანსურად და მისთვის ხელმიუწვდომელი იყოს თამბაქო. ეს ვალდებულება გვაქვს ჩვენც ჩვენი მოსახლეობის მიმართ.

თამბაქოს მოხმარება ხალხის ჯანმრთელობის გამო უნდა შევამციროთ ქვეყანაში, სადაც ყოველი მესამე ადამიანი ეწევა. ეს არის კატასტროფა. აქციზის ყოველი 10%-ის ზრდა თამბაქოს მოხმარების დაახლოებით 5-8%-ის შემცირებას უნდა იწვევდეს.

მთლიანად აქციზის არსი გახლავთ არა ის, რომ ბიუჯეტში ფულები შევაგროვოთ, არამედ ეს არის გადასახადი ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტებზე. ეს ფული პირდაპირ გამოიყენება უმეტეს ქვეყნებში, მაგალითად, ჯანდაცვის ბიუჯეტის დაფინანსებისათვის, იმიტომ რომ სიგარეტს ზიანის მეტი არაფერი მოაქვს არც ეკონომიკისთვის და არც – ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

– რამდენად ეფექტური შედეგი შეიძლება მივიღოთ. სხვა ქვეყნების მაგალითზე ამან გაამართლა?

– რაც უფრო ძვირია სიგარეტი, მით ნაკლები ახალგაზრდა იწყებს მოწევას და რაც უფრო ძვირია თამბაქოს პროდუქტი, უფრო ნაკლებს ეწევიან მწეველები ან საერთოდ ანებებენ თავს. ეს არის ყველაზე ეფექტიანი მეთოდი. დადასტურებულია უამრავი კვლევით და მილიონობით ადამიანის დაკვირვებით, მათ შორის საქართველოშიც.

შესაბამისად, ეს გზა ერთ-ერთია, სპონსორული და რეკლამის აკრძალვასთან ერთად და შენობებში მოწევის აკრძალვასთან ერთად, რომ შევამციროთ თამბაქოს მოწევა ამ ქვეყანაში, რომელსაც ყოველი მეხუთე ადამიანი ეწირება ნაადრევად, ყოველწლიურად 15 წლით ადრე იღუპებიან. ეს არის კატასტროფული ციფრი.

– ოპოზიცია ამბობს, რომ ფასის გაზრდა უფრო დაბალხარისხიან სიგარეტზე გადასვლას გამოიწვევს. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

– არ არსებობს დაბალხარისხიანი და მაღალხარისხიანი სიგარეტი. თუ ვინმე მაგას ამბობს, ეს არის აბსოლუტური შეცდომა. ყველა სიგარეტი არის მავნებელი. ხარისხი განისაზღვრება იმით, ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა თუ საზიანო. სიგარეტი ერთადერთი პროდუქტია, რომელსაც ზიანის მეტი ადამიანისთვის არაფერი მოაქვს. შესაბამისად, დაბალი და მაღალი

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მამუკა ტუსკაძე: „გაგვაგებინეთ, ვის საკუთრებაშია „ყაზტრანსგაზ-თბილისი!“

გულიკო ბალაძე

ვისი კომპანიაა „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ და ვისი პასუხისმგებლობაა დიდ დიღომში მომხდარი ტრაგედია? ვისი ვალდებულებაა დიდ დიღომში გაზის აფეთქებით მიღებული ზიანის მოქალაქეებისთვის ანაზღაურება? უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე „ახალ თაობასთან“ მომხმარებელთა უფლებების დარღვევაზე საუბრობს.

– ბატონო მამუკა, მოგეხსენებათ, რა საშინელი ტრაგედია დატრიალდა დიდ დიღომში. ასეთი შემთხვევები ჩვენს ქვეყანაში ი შვიათი არ არის.

– ნოემბერში ფონიჭალაშიც იყო.

– დიახ. რით არის გამოწვეული ასეთი გახშირებული შემთხვევები და რაზე გაამახვილებთ ყურადღებას?

– მთავარ აქცენტს მომხმარებლის უფლებების დარღვევაზე გავაკეთებ. დიდი დიღმისა და ფონიჭალის შემთხვევები ტრაგედიაა. დიდი დიღმის შემთხვევაში მომხმარებელი დაზარალდა არა მარტო ნორმალური პირობების არარსებობისა და კომუნალური მომსახურების ობიექტების ექსპლუატაციაში არასწორი მიღების გამო, არამედ სხვა მხრივაც.

– კიდევ რა მხრივ დაზარალდა მომხმარებელი?

– რადგან შენობა ექსპლუატაციაში მიღებული არ არის, მხოლოდ მერიის კეთილი ნებაა იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც შენობამ გაზის აფეთქებით მიიღო.

მხოლოდ მშენებელი და მესაკუთრეა ვალდებული, ზარალის ანაზღაურებაზე იზრუნოს. ეს ორ სუბიექტს შორის ურთიერთობაა და სახელმწიფო მთლიანად იხსნის პასუხისმგებლობას. ეს არის ძალიან ცუდი. როცა მოქალაქეა საზრუნავი, სახელმწიფოს მეტი ბერკეტი უნდა ჰქონდეს მომხმარებლის უფლების დასაცავად.

– ხომ არის ისეთი აპარატურა, რომლითაც შესაძლებელია დადგენა, ჟონავს თუ არა გაზი?

– რა თქმა უნდა, მაგრამ ამ შემთხვევაში არ იქნა გამოყენებული, ან გამოიყენეს და ვერ მიხვდნენ. არის სპეციალური სიგნალიზაცია, რომელიც გაზის გაჟონვის შემთხვევაში ავტომატურად ირთვება, როგორც, მაგალითად, სიგარეტის მოწევის შემთხვევაში, მგრძნობელობის აპარატები (სადაც აყენია) ირთვება.

თბილისში 3-4-ბალიანი მიწისძვრა ისე ხდება, არავითარი სიგნალიზაცია არ ირთვება თბილისში. ამას წინათ თბილისში 4-ბალიანი მიწისძვრა იყო, ყველამ ვიგრძენით, მაგრამ არანაირი გამაფრთხილებელი სიგნალი არ ჩართულა. ვიღაცამ ვერ იგრძნო ბიძგები. ვთქვათ, ვინც მანქანით მოძრაობდა, სიგნალიზაცია რომ ჩართულიყო, მანქანას გააჩერებდა და გადააყენებდა.

– „ყაზტრანსგაზთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში რა პირობებია ჩაწერილი? ამ კომპანიას არ ევალება, გაზგაყვანილობები წესრიგში ჰქონდეს და ელემენტარული უსაფრთხოება უზრუნველყოს?

– უსაფრთხოება რომ უნდა იყოს უზრუნველყოფილი, ცხადია, წერია, მაგრამ, რა სტანდარტებითა და რა დონეზე, არ წერია. გაშლილი უნდა იყოს. ზოგადად, უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქმეს არ შველის. ვთქვათ, გაზი გამოჰყავთ რკინის მილებით, მაგრამ შემდეგ გაზში სპეციალური ნივთიერება რომ უნდა იყოს გარეული და არ ურევენ? უსაფრთხოება ზოგადად არის მითითებული, არ არის გაშიფრული, რას ნიშნავს ეს. ასევე ჩვენ არ ვიცით, დღეს ვინ არის თბილისის გაზის გამანაწილებელი.

– „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ არ არის?

– „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ ახლა ვისია, იცით? ოფშორში რეგისტრირებული რაღაც კომპანიისაა.

– ამბობენ, ბეჟუა შვილისაა.

– იქნებ მიშა სააკაშვილისაა. ვერ ვიგებთ, ვისია. ოფშორში რეგისტრირებულ ფირმებთან დაკავშირებით ინფორმაცია დახურულია. ამ შემთხვევაში ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლის ხარჯზე ვიღაც მდიდრდება. კონკრეტულად არ ვიცით, ვინ არის პასუხისმგებელი თბილისში მცხოვრები მოსახლეობის სიცოცხლეზე, უსაფრთხოდ ენერგომატარებლების მიწოდებაზე.

ამდენ ხანს ვიცოდით, რომ ყაზახური კომპანია იყო. ახლა ირკვევა, რომ „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ ჰქვია, რომლის მფლობელია ოფშორში რეგისტრირებული რაღაც კომპანია.

– ფეისბუქზე ისიც გახმოვანდა, „ყაზტრანსგაზი“ რუსების კომპანიაა.

– დიახ, ვერ ვიგებთ, ვისია. „თელასის“ შემთხვევაში ჩვენ ზუსტად ვიცით, ვინ არის „თელასის“ მეპატრონე. სააკაშვილმა გადასცა ამერიკელებს, შემდეგ გაიყიდა რუსულ კომპანიაზე და დღეს თბილისში დენს რუსეთი ყიდის. დივერსიაც რომ მოხდეს, გვეცოდინება, რომ რუსული სახელმწიფო გვიკეთებს ამას.

გაზის შემთხვევაში, არ ვიცით, ვისთან გვაქვს საქმე, ვიღაცამ თბილისში რომ გადაგვიკეტოს გაზი, ვინ არის პასუხისმგებელი.

– სახელმწიფომ არ იცის, „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მეპატრონე დღეს ვინ არის?

– არა, არც სახელმწიფომ იცის, ვისია „ყაზტრანსგაზ-თბილისი“. მისმა წარმომადგენელმა იცის. ეს ინფორმაცია გასაიდუმლოებულია. მაშინ გამოვიდეს იმ ოფშორში დარეგისტრირებული კომპანიის მფლობელი და თქვას, მე ვარ თბილისში გაზის გამანაწილებელიო.

– კი მაგრამ, სახელმწიფომ ვის მიჰყიდა ეს კომპანია, არ იცის? ვინც იყიდა, მას უფლება ჰქონდა, თუ მოინდომებდა, ნებისმიერისთვის მიეყიდა?

– იმ ოფშორში დარეგისტრირებულ კომპანიას ჰყავს მენეჯერი. მენეჯერული კომპანიაა, რომელიც მართავს სხვის აქციებს. ეს არის კომერციული საიდუმლოება. სასამართლოები სჭირდება, რომ გავიგოთ, ვისთან დადო ხელშეკრულება მაქაცარიამ.

– მაქაცარია ვინ არის?

– მაქაცარია არის სააკაშვილის ბიზნესმენი, რომელიც მართავს „ყაზტრანსგაზს“ და რომელსაც გადააბარა. ბეჟუა შვილების სამართავი წილი ახლა მაქაცარიამ წაიღო. შეიძლება, ეს ფორმალურია, ან მართლა იყიდა მაქაცარიამ, მაგრამ მაქაცარია მართავს ამ კომპანიას. მაქაცარიას კომპანია არის მმართველი კომპანია და არა – იმ ოფშორში რეგისტრირებული კომპანია.

როგორც უფლებადამცველი, ვითხოვ გაცხადდეს, ვის ხელშია თბილისის გაზი. მე ვვარაუდობ, რომ თბილისის გაზმომარაგება არის რუსეთის მიერ მართული, რუსული დივერსიული კომპანიისა თუ დივერსანტი ადამიანების ხელში, რომელიც დარეგისტრირებულია ოფშორში. საქართველოში გაზის კომპანია მტერი სახელმწიფოს მიერ არის მართული.

– აღნიშნული კომპანია ოფიციალურად ბეჟუა შვილის აღარ არის?

– არა, ახლა არის მაქაცარია. მაქაცარიასთვის აქვთ მართვაში გადაცემული. ასევე მართვაში იყო გადაცემული ბეჟუა შვილისთვის და მაშინაც ოფშორული კომპანია იყო მმართველი.

შეიძლება, ოფშორში დარეგისტრირებული კომპანია ისევ ბეჟუა შვილისაა ან პუტინისაა. როგორ შეიძლება, ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი თბილისში ცხოვრობს, ამ ხალხის ბედ-იღბალს ვანდობთ რაღაც კომპანიას და აზრზე არ ვართ, ვისია ეს კომპანია.

მაქაცარიასა და ბეჟუა შვილის ბრალეულობაა, დღეს რაც ხდება, მაგრამ მათ უკან დგას კიდევ რაღაც კომპანია და ის არის რეალური, ფაქტობრივი მფლობელი. იმის ბრალეულობაა, რომ მაქაცარია დანიშნა აქ მმართველად. ცხადია, იმიტომ დანიშნა, რომ მათ შორის რაღაც კავშირი არის.

რუსეთი სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს ომით აშინებს

ევროპაში თვლიან, რომ ჩეჩნეთი სამართლებრივი სივრციდან გადის

მარიამ მჭედლიშვილი

გაზის გაჟონვის, ღორის გრიპისა და წითელას შედეგად გამოწვეული საფრთხის ფონზე საქართველოს საზოგადოებისათვის სხვა რისკები უკან გადადის. თუმცა, საქართველოს გარშემო შექმნილი მდგომარეობა საყურადღებოა.

დადებითი ტენდენციების მიუხედავად, არსებობს ახალი რისკები. თვალსაჩინოა საქართველოს დაახლოება სომხეთთან. ხელისუფლების ხავერდოვან ცვლილებამდე სომხეთი რუსეთის აშკარა საყრდენი იყო და საქართველოსთანაც დისტანციური ურთიერთობა ჰქონდა.

საქართველოს აზერბაიჯანთანაც კეთილმეზობლობა აკავშირებს.

თუმცა, ეს ყველაფერი არ გამორიცხავს დესტაბილიზაციის საშიშროებას რეგიონში, რომლის მნიშვნელობა იზრდება გლობალური მოთამაშეების დაპირისპირების პირობებში.

კავკასიაში ყველაზე ცხელ წერტილად მიჩნეული მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, შესაძლოა, მშვიდობიანად მოგვარდეს. ექსპერტები წარმატებულად მიიჩნევენ ამ საკითხზე სომხეთისა და აზერბაიჯანის მოლაპარაკებებს.

უცხოური მედიის ინფორმაციით, აშშ-ის პრეზიდენტმა პირდაპირ დაავალა სომხეთის უკვე საბოლოოდ დამტკიცებულ პრემიერ-მინისტრ ნიკოლ პაშინიანს, შეურიგდეს აზერბაიჯანს.

წარმატებული მოლაპარაკებებით ყარაბაღის თემაზე კმაყოფილებას გამოთქვამენ ექსპერტები. მათი თქმით, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად კომპრომისებისთვის აუცილებელია სომხეთის ძლიერი ხელისუფლება, ახლანდელმა პრემიერმა კი ძალაუფლება გაიმყარა.

მათი სიტყვებით, სომხეთი ყოველთვის მზად იყო, ეკონომიკური დებლოკადის სანაცვლოდ დეოკუპაციაზე წასულიყო.

ამის პარალელურად კრემლის გარემოცვა ავრცელებს გზავნილებს იმის შესახებ, რომ სამხრეთ კავკასიაში, როცა ის რუსეთის გარეშე იყო, ყოველთვის ომები ჩაღდებოდა. ამის მაგალითად მოყვანილია 1917-18 წლები, ასევე – 1991 წელი.

რუსეთს უნდა იმის თქმა, რომ მისგან სრულიად დამოუკიდებელი საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ომებში გაეხვევიან.

გამოდის, რომ თუ სომხეთი და აზერბაიჯანი ყარაბაღზე შეთანხმდნენ, დესტაბილიზაცია და ცხელი წერტილები სხვაგან გაჩნდება.

ფრანგი ექსპერტები კავკასიაში უდიდეს საფრთხედ აღიქვამენ ჩეჩნეთის ლიდერ რამზან კადიროვს.

ისინი ეუთოს ბოლო მოხსენებაზე დაყრდნობით აღნიშნავენ, რომ ჩეჩნეთში მასობრივად ხდება უდანაშაულო ადამიანების დევნა-შევიწროება, დაკავება, წამება, გატაცება და არასამართლებრივად დასჯა. ეს ხდება კადიროვის ბრძანებით.

ჩეჩნეთის პრეზიდენტი კავკასიაში პუტინის ჯარისკაცია. თავის კარიერას ის პუტინს უმადლის. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ითმენს კადიროვის ქმედებებს და არ იღებს პასუხისმგებლობას იმაზე, რაც ჩეჩნეთში ხდება. კრემლის ლიდერი რამზან კადიროვს ძალიან იშვიათად ამუხრუჭებს.

ფრანგი და გერმანელი დამკვირვებლების აზრით, ჩეჩნეთი მალე შეიძლება გასცდეს სამართლებრივ ჩარჩოებს და სრულიად მოექცეს კადიროვის ახირებების ტყვეობაში.

ევროპაში ახსოვთ კადიროვის რეაქცია ჟურნალ „შარლი ებდოში“ მომხდარ ტერაქტზე. მაშინ ჩეჩნეთის ხელმძღვანელმა გროზნოში გამოიყვანა 350.000 კაცი ჟურნალისა და მისი კარიკატურების დასაგმობად.

ფრანგი ექსპერტების სიტყვებით, კადიროვი რუსეთის უშიშროების სამსახურების საპირწონედაც კი განიხილება – თუ პუტინს სპეცსამსახურები განუდგებიან, ის კადიროვსა და მის შეიარაღებულ რაზმებს დაეყრდნობა.

თუ პუტინმა კავკასიაში მომავალშიც რაღაც ჩაიფიქრა, ალბათ, კადიროვს რეგიონში დესტაბილიზაციისთვისაც გამოიყენებს.

მირცხულავა: „ქვეყანაში ინჟინრების საკეთებელ საქმეს „აკეთებენ“ იურისტები, ექიმები, ფილოლოგები, მუსიკოსები“...

– ქვეყანაში ინჟინრების საკეთებელ საქმეს „აკეთებენ“ იურისტები, ექიმები, ფილოლოგები, მუსიკოსები.

ამის შესახებ საქართველოს ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა სოციალურ ქსელში წერს.

– ზოგადად უსაფრთხოების საკითხებისადმი სახელმწიფოს მხრიდან არაჯეროვანი ყურადღების უამრავი ფაქტი გვაქვს ქვეყანაში: ესაა ქვანახშირის შახტები სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში უამრავი ადამიანი დაიღუპა. ესაა ვერის ხეობაში წყალდიდობა და უსაფრთხოების რისკების იგნორირება, პროექტირების პერიოდში, ესაა შუახევი ჰესის გვირაბის ჩამონგრევა სადაც საბედნიეროდ ადამიანები არ დაიღუპნენ, ზარალი კი კოლოსალურია, ესაა ფონიჭალაში ბუნებრივი გაზის გაჟონვა და აფეთქება, ესაა გუშინ დიღომში მომხდარი ტრაგედია, ფაქტია უამრავი შემთხვევაა და სისტემურ პრობლემასთან გვაქვს საქმე. ესაა უზარმაზარი დეფიციტი შესაბამისი საკანონმდებლო, ნორმატიული აქტების, დარგობრივი რეგლამენტების. გაიხსენეთ, როდის ნახეთ (უფროსი თაობის ადამიანებს ემახსოვრებათ უფრო) ბოლოს ან გინახავთ თუ არა საერთოდ გაზზე მომუშავე მოწყობილობებისა და შიდა გაზის გაყვანილობის უსაფრთხოების კონტროლიორი თქვენს ბინაში, რომელიც, წესით, ყოველწლიურად მაინც უნდა ამოწმებდეს მოწყობილობებისა და შიდა ქსელის ტექნიკურ მდგომარეობას.

გინახავთ კი ვინმე ოფიციალური წარმომადგენელი გაზის სადისტრიბუციო კომპანიიდან საჯაროდ, რომ გვირჩევდეს, გვთავაზობდეს გაზის გაჟონვის საწინააღმდეგო დეტექტორ ანალიზატორის (ჩამკეტი კლაპანით) მონტაჟს ბინებში უსაფრთხოებისათვის. ასეთი გაზის გაჟონვის დეტექტორები ხომ აუცილებელია გაზის საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის დასავლეთის ქვეყნებში, მაგალითად, გერმანიაში, რომელიც ასევე ამზადებს ამ ტიპის საუკეთესო მოწყობილობებს და კიდევ ქვეყანაში აშკარაა უკვე და წესადაც იქცა ცუდი პრაქტიკა – ინჟინრების საკეთებელ საქმეს „აკეთებენ“ სხვა სპეციალობის წარმომადგენლები, იურისტები, ექიმები, ფილოლოგები, მუსიკოსები და ასე შემდეგ.

რამდენჯერ მინახავს, ასეთ „ხელმძღვანელებს „ნახაზის წაკითხვაც უჭირთ და „გეგმავენ“ სამუშაოს... ასე გაგრძელება მართლა არ შეიძლება, საინჟინრო საქმეს ინჟინრები უნდა აკეთებდნენ, – წერს დავით მირცხულავა.

ზურაბ გურული: „ისტერიკა იმაზე, რომ დიღომში მომხდარ ტრაგედიას კავშირი არა აქვს პოლიტიკასთან, უშედეგო ფარსია“

ზურაბ გურული – აშშ-ის მონტგომერის სახელობის ფედერალური კლინიკის ანესთეზიისა და ქირურგიის დეპარტამენტების დირექტორი, ასევე მისისიპის უნივერსიტეტის კლინიკური ანესთეზიოლოგიის პროფესორი – დიდ დიღომში მომხდარ ტრაგედიასა და ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს სოციალურ ქსელში გამოეხმაურა, რომელსაც „კომერსანტი“ უცვლელად გთავაზობთ:

– საქართველოში ყოფნისას ხშირად მეკონტაქტებიან ხოლმე მავანი ბიზნესმენნი; ზოგს ახალი კლინიკის ამოქმედება სურს, ზოგს კი სამედიცინო ინსტიტუტის გახსნა. გრძელ ტირადებს, რომლებშიც ისინი ენთუზიაზმით მიყვებიან თუ რა მაგარი შენობები და ინვენტარი აქვთ შეძენილი, მოკლედ ვაწყვეტინებ მარტივი განმარტებით: – კლინიკისა და ინსტიტუტის შექმნა იწყება პროფესიონალთა გუნდის შეკრებით და შენობა-ინვენტარი მეასეხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხია. ჩვეულებრივ აქ სრულდება საუბარიც.

ზუსტად ანალოგიური რამ ხდება საქართველოსთან დაკავშირებით. სახელმწიფოს შენება იწყება არა ინფრასტრუქტურის მშენებლობით, არამედ სამართლებრივი საძირკვლის შექმნით. მყარი და აზრიანი კონსტიტუციით, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელ სექტორებს შორის ძალაუფლების თანაბრად გადანაწილებას და კონტროლს; არ დაუშვებს ერთი ადამიანის ხელში უკონტროლო ძალაუფლების ჩაგდებას.

2012 წლის ლოგიკური ფიასკო სწორედ იმის გამო მოხდა, რომ სახელმწიფოს შექმნის ზემოთ ნახსენები არცერთი საფეხური არ განხორციელებულა; შესაბამისად, შედარებით პროგრესულ ფეოდალთა მიერ ნაშენები ინფრასტრუქტურა და დეფექტური სახელმწიფო ინსტიტუტები მოხერხებულად ჩაიგდო ხელში უფრო რეგრესულ ფეოდალთა ჯგუფმა, რომელთა ძალაუფლება ემყარება მათი ლიდერის განუზომელ ფინანსურ რესურსებს და გავლენას. ამ ჯგუფმა კიდევ უფრო გააღრმავა კრიზისი და პრაქტიკულად პირწმინდად მოსპო სახელმწიფოებრიობის ყველა კვალი.

ის კატასტროფული სიტუაცია, რაც დღეს გვაქვს ნებისმიერ სფეროში, რომელთა შედეგადაც პანტაპუნტით იღუპებიან უდანაშაულო ადამიანები, ან სამუდამოდ ტოვებენ ქვეყანას, განპირობებულია სწორედ იმით, რომ საქართველოს სახელმწიფო დე ფაქტო არ არსებობს. შესაბამისად, ყველა სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი სტრუქტურა და ბიზნესსფერო მოქმედებს ბანდიტურ-მაფიოზური წესებით.

ამრიგად, გაუთავებელი მოთხოვნები ვიღაც დამნაშავეების დასჯაზე, ისტერიკა იმაზე, რომ დიღომში მომხდარ ტრაგედიას (და არაერთ ანალოგიურს) კავშირი არა აქვს პოლიტიკასთან და ა.შ., არის უაზრო და უშედეგო ფარსი.

თიბისი ბანკისაგან მამუკა ხაზარაძის გამოყოფა წარმოუდგენელი და შეუძლებელია

– საქართველოს მსგავსი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში საბანკო ინსტიტუტის იმიჯს მისი ძირითადი აქციონერები და მენეჯმენტი განსაზღვრავს. ამ კონტექსტში აქციონერის და საბანკო ინსტიტუტის ერთმანეთისგან განცალკევება, მართებული არ არის. ჩემი აზრით, მიმდინარე პროცესები უპირველეს ყოვლისა არის რეპუტაციული ზიანი. ძალიან მიჭირს ამ თემაზე საუბარი და დიდი იმედი მაქვს, ნდობა ბანკის მიმართ არა მხოლოდ

საქართველოში, არამედ მსოფლიოს მასშტაბით არ შეიცვლება და ამ ზიანზე არ მოგვიწევს საუბარი, – ასე აფასებს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი ალექსანდრე ძნელაძე მამუკა ბახტაძის განცხადებას.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის თქმით, თიბისი ბანკი, ისევე, როგორც საქართველოს სხვა ნებისმიერი ბანკი, უდრის საქართველოს ეკონომიკის ფინანსურ სტაბილურობას და კითხვები ეხება არა საფინანსო ინსტიტუტს, არამედ – მის აქციონერს.

კომერსანტის კითხვაზე, დაზიანებს თუ არა ქვეყნის ეკონომიკას ხაზარაძის წინააღმდეგ დაწყებული გამოძიება, ძნელაძის პასუხი შემდეგია:

– იმდენად მძიმე შეკითხვას მისვამთ, რომ არც მინდა ამაზე ვიფიქრო. სიტყვაზე ვთქვათ, თუ ეს პროცესი დაზიანებს საფინანსო სექტორის უმეტესობას, ეს ძალიან ცუდად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

ალექსანდრე ძნელაძის მსგავსად პრემიერის განცხადება და მამუკა ხაზარაძის თიბისისგან გამიჯვნა არასწორად მიაჩნია არასამთავრობო ორგანიზაცია საზოგადოება და ბანკების დამფუძნებელ გიორგი კეპულაძეს.

– პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძის განცხადება იმის თაობაზე, რომ თიბისი ბანკის საქმეზე კითხვები მხოლოდ ბანკის აქციონერებს შეეხება და ეს საქმე თავად ბანკს არ უკავშირდება, სიმართლე ვერ იქნება, რადგანაც მამუკა ხაზარაძე ბანკის არა მხოლოდ აქციონერი, არამედ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეცაა. საუბარი არ არის ისეთ ადამიანებზე, რომლებიც მინორიტარები არიან და აქციათა ძალიან მცირე ნაწილს ფლობენ. საუბარია, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეზე და სამეთვალყურეო საბჭოს მოადგილეზე, რომელთა აქციების ჯამური რაოდენობაც დაახლოებით, 21%-ია. მამუკა ხაზარაძის თიბისისგან განცალკევებულად განხილვა ვერ მოხდება; ის, რა თქმა უნდა, კავშირშია ამ ბანკთან. მამუკა ხაზარაძეზე შეტევა საგამოძიებო ორგანოებისა თუ ხელისუფლების მხრიდან, საბანკო საქმიანობასთან არის დაკავშირებული. რა თქმა უნდა, ეს კავშირშია ერთმანეთთან, – აცხადებს გიორგი კეპულაძე.

გოცირიძე: „მეოცე დღეა, სომხეთს ჩვენი მილსადენით უკანონოდ მიეწოდება გაზი“

– ოცი დღეა, რაც რუსეთიდან ჩვენი მილსადენით უკანონოდ მიეწოდება გაზი სომხეთს და არც პრემიერ-მინისტრმა და არც ეკონომიკის მინისტრმა ამის შესახებ არაფერი იციან, რაც დადასტურდა გუშინდელ ბრიფინგზე მათ მიერ გაცემული პასუხებით, – ამბობს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის თავმჯდომარე რომან გოცირიძე.

გოცირიძე საკუთარ ფეისბუქზე წერს, რომ საქართველო რუსულ ენერგოგიგანტთან გაფორმებული ახალი კონტრაქტის შედეგად ყოველწლიურად დაახლოებით $30 მილიონს კარგავს.

– ხელშეკრულებას ვადა გასული წლის 31 დეკემბერს გაუვიდა. ძველი ხელშეკრულებით საქართველო ღებულობდა 40 მილიონი დოლარის ღირებულების გაზს ნატურით, კალაძის ხელშეკრულებით კი გვიხდიან მაქსიმუმ 15 მილიონ დოლარს, ანუ წელიწადში ვკარგავთ 25 მილიონ დოლარს, რაც დღევანდელი კურსით 65 მილიონი ლარია. სწორედ ამიტომ ასაიდუმლოებენ ამ ხელშეკრულებას.

ძალიან სანდო წყაროს ინფორმაციით, რომელსაც თავის დროზე ამ ხელშეკრულებასთან ჰქონდა შეხება, გაზპრომის მიერ გადახდილი ტრანზიტის საფასური მხოლოდ 11 მილიონი დოლარია, რაც ჩვენი მხარის მიერ გაზის სომხეთის საზღვრამდე მიტანის ხარჯებს თუ ყოფნის. თუ რატომ მოხდა ასეთი საზიანო ხელშეკრულების გაფორმება, ადრე თუ გვიან აუცილებლად გამჟღავნდება. რა არ გამჟღავნებულა ან საქართველოში რამე დამალულა?! – წერს გოცირიძე.

პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ამბობს, რომ თუ საქართველოსა და გაზპრომს შორის კონტრაქტში ცვლილებები შევა, მთავრობა მას საზოგადოებას აცნობებს.

– თუ რამე სიახლე იქნება კონტრაქტში, როგორც ვიცი, არ დაწყებულა ამ საკითხზე საუბარი, ვალდებულება იქნება ეკონომიკის სამინისტროსი, რომ ეს გააცნოს საზოგადოებას, – ამბობს ბახტაძე.

საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი კი ამბობს, რომ კონტრაქტის გაფორმებისას საქართველოს სახელმწიფოს ინტერესები დაცული იქნება.

2017 წლიდან საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიასა და „გაზპრომ-ექსპორტს“ შორის ახალი კონტრაქტი შევიდა ძალაში, რამაც რუსეთიდან სომხეთში ბუნებრივი გაზის ტრანზიტის პირობები შეცვალა. მანამდე საქართველო სატრანზიტო მომსახურებისთვის საფასურს ნატურით – ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გატარებული ბუნებრივი გაზის 10%-ის სახით იღებდა. 2017 წლიდან კი პირობები შეიცვალა და ჯერ ნაწილობრივ, შემდეგ კი სრულად, საქართველო მონეტარული ანაზღაურების რეჟიმზე გადავიდა, ანუ ქვეყანა სატრანზიტო მომსახურებისთვის განსაზღვრულ თანხას იღებს. ამ კონტრაქტის კომერციული პირობები გასაიდუმლოებულია.

სწორედ აღნიშნულ კონტაქტს მოქმედების ვადა 2018 წლის 31 დეკემბერს ამოეწურა. ახალი პირობები მხარეებმა მიმდინარე წელს უნდა შეათანხმონ.

სომხეთი ყოველწლიურად დაახლოებით 2 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს მოიხმარს.

BM.GE

ცეზარ ჩოჩელი: „საპენსიო რეფორმამ ბიზნესს მუშახელი გაუძვირა“

ბიზნესმენ ცეზარ ჩოჩელის შეფასებით, საპენსიო რეფორმამ ბიზნესს მუშახელი გაუძვირა.

როგორც მან BM.GE-თან განაცხადა, მას, ფაქტობრივად, არ ეგულება კომპანია, რომელიც საპენსიო ფონდში დასაქმებულების მიერ გადასარიცხ თანხას თავად დასაქმებულებს გადაახდევინებს, რის გამოც, ფაქტობრივად, კომპანიებს საშემოსავლო გადასახადი 4%-ით გაეზარდათ.

მიზეზი კი ისაა, რომ საპენსიო ფონდში ყოველთვიურად ხელფასის 2% კომპანიამ უნდა დაფაროს, 2% – სახელმწიფომ, 2% კი – თავად დასაქმებულმა.

ბიზნესმენი ამბობს, რომ ამ პირობებში კერძო სექტორისთვის საშემოსავლო გადასახადი 20%-ის ნაცვლად, 24% გახდა.

ცეზარ ჩოჩელის თქმით, საშემოსავლო გადასახადი შინაარსობრივად ისედაც გულისხმობს საპენსიო ასაკის მოქალაქეებისთვის საბაზისო პენსიის დაფინანსებას, ასევე სოციალურად შეჭირვებულების დახმარებას და ა.შ.

დაგროვებითი საპენსიო სისტემა ძალაში მიმდინარე წლიდან შევიდა. სისტემაში ჩართვა 40 წლამდე პირებისთვის სავალდებულოა, 40 წელს ზემოთ ასაკის პირებისთვის კი – ნებაყოფლობითი.

10 ფაქტი საქართველოს ეკონომიკის შესახებ

გასული 10 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკამ მნიშვნელოვანი გარდაქმნები გაიარა, ამიტომ გადავწყვიტეთ, წარმოგვედგინა რამდენიმე ფაქტი საქართველოს ეკონომიკის შესახებ 2008 წლისა და 2018 წლის მდგომარეობით.

ამ ათი წლის განმავლობაში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზომა ლარებში 98%-ით გაიზარდა

10 ფაქტი 2008 წელსა და 2018 წელს არსებული საქართველოს ეკონომიკის შესახებ

საქართველოს ეკონომიკის ზომა – 2008 წელს 19,074,900,000 ლარი, 2018 წელს 37,846,600,000 ლარი;

მშპ ერთ მოსახლეზე – 2008 წელს 4,956.5 ლარი, 2017 წელს 10,152 ლარი;

აშშ დოლარის ოფიციალური კურსი – 2008 წელს 1.66 ლარი, 2019 წელს 2.66 ლარი

საშუალო ხელფასი – 2008 წელს 534 ლარი და 90 თეთრი, 2017 წელს 999 ლარი;

საბაზო პენსია 2008 წელს – 70 ლარი, 2018 წელს – 180 ლარი;

ექსპორტი – 2008 წელს $1,495,345,200, 2018 წელს $3,362,000,000;

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები – 2008 წელს $1,569,700,000, 2017 წელს $1,894,500,000;

უმუშევრობა – 2008 წელს 17.9%, 2017 წელს 13.9%;

ვიზიტორთა რაოდენობა – 2008 წელს 1,290,108 ვიზიტორი, 2018 წელს 8,679,544 ვიზიტორი;

საქართველოს მთავრობის ბიუჯეტი – 2008 წელს 5,554,684,000 ლარი, 2018 წელს 12,459,500,000 ლარი.

ბონუს ფაქტი – მსყიდველუნარიანობით 2008 წლის 50 ლარი დღევანდელი 73 ლარის და 46 თეთრის ტოლია.

BM

აკაკი ზოიძე: „სიგარეტს სარგებელი არც ეკონომიკისთვის მოაქვს და არც ჯანმრთელობისთვის“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ხარისხის შეუძლებელია არსებობდეს.

თუ იმაზეა საუბარი, რომ გადადიოდნენ უფილტროზე, ამისათვის მოხდა აქციზის გათანაბრება და ეს იყო ჩვენი ინიციატივა, რომ უფილტროზეც და ფილტრიანზეც ყოფილიყო აქციზი ერთნაირი და სწორედ არ მოხდეს ეს ჩანაცვლება მაღალფასიანი სიგარეტის იაფფასიანი სიგარეტით.

ყველა პროდუქტი უნდა გაძვირდეს, რომ ყველა მიუწვდომელი იყოს მომხმარებლისთვის, თორემ მხოლოდ განსაკუთრებული ბრენდები კი არ უნდა იყოს ხელმიუწვდომელი. ამის დისკრიმინაცია არ უნდა მოხდეს.

❖ ❖ ❖

ამ საკითხზე ეკონომისტ გიორგი პაპავასაც ვესაუბრეთ.

გიორგი პაპავა:

– იმის ილუზიაც არ უნდა გვქონდეს, რომ მხოლოდ ამით არის შესაძლებელი, მწევლების რაოდენობა შევამციროთ. ამას მეტი ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრება სჭირდება და ბევრი ისეთი ფაქტორის არსებობა, რაც კავშირში არ არის თამბაქოსთან, იმიტომ, რომ განვითარებულ ქვეყნებში უფრო ნაკლებს კი ეწევიან, მაგრამ, ამავდროულად, უფრო ჯანსაღადაც ცხოვრობენ.

– შეგვიძლია, დარწმუნებით ვთქვათ, რომ თამბაქოზე ფასის ზრდა მხოლოდ მოსახლეობის ჯანმრთელობისკენ გადადგმული ნაბიჯია და არა ბიუჯეტის საკეთილდღეოდ?

– მსოფლიოში აღიარებულია, რომ თამბაქო სახიფათო პროდუქტია ჯანმრთელობისთვის. შესაბამისად, ევროკავშირთან მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ჩვენც გავაძვირებთ ამ პროდუქციას საქართველოში. გაძვირება იმიტომ ხდება და ეს ვალდებულება სწორედ მაგიტომ გვაქვს აღებული, რომ შევამციროთ ქვეყანაში მწეველთა რაოდენობა და არა იმიტომ, რომ ბიუჯეტი შევავსოთ.

მიჩნეულია, რომ არის ეს ერთ-ერთი ყველაზე მავნებელი პროდუქტი, შესაბამისად, უნდა წახალისდნენ ადამიანები, რომ არ მოსწიონ ეს პროდუქტი. ამისთვის სხვადასხვა ინსტრუმენტიც არსებობს. ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური არის ფასის ზრდა და ამიტომაც იზრდება, თუმცა ამასაც აქვს გარკვეული რეგრესული ხასიათი.

– ის ხომ არა, რომ უფრო დაბალხარისხიან სიგარეტზე გადასვლას გამოიწვევს?

– ეგ ეფექტიც არის ნამდვილად, რომ შეიძლება, უფრო უხარისხოზე გადავიდნენ და შეიძლება, იმავე რაოდენობით მოსწიონ და ამას ექნება ცალსახად ნეგატიური ეფექტი და მეორე არის ის ფაქტი, რომ არ წაახალისოს რაღაც კონტრაბანდული წარმოება.

როდესაც კერძო სექტორმა იცის, რომ ეტაპობრივად ხდება ფასის მატება, თუ ადმინისტრირება, ამას თან ახლავს ეს რისკები. თუმცა, უნდა ითქვას, რომ გაძვირდა იაფი სიგარეტიც. ჩემი აზრით, თუ მის მოწევაზე გადავლენ, ეს უფრო პატარა მასშტაბით იქნება, ვიდრე მწეველთა რაოდენობის შემცირების ეფექტი.

იმის ილუზიაც არ უნდა გვქონდეს, რომ მხოლოდ ამით არის შესაძლებელი მწევლების რაოდენობის შემცირება. ამას მეტი ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრება სჭირდება და ბევრი ისეთი ფაქტორის არსებობა, რაც კავშირში არ არის თამბაქოსთან.

ლელა მდივანი

„არც სუნი იყო, არც არაფერი“

ყაზტრანსგაზის დაკავებული თანამშრომლები ბრალს არ აღიარებენ

19 იანვარს ყაზტრანსგაზის ორ თანამშრომელს, თორნიკე ტატიშვილსა და ვაზელ მამადიანს, ბრალი ოფიციალურად წარუდგინეს. მათ გამოძიება გულგრილობის მუხლით ედავება. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში მათ 2-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებს ბრალი წარედგინათ 220-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს გულგრილობას. არ დაკითხულა არც ერთი ბრალდებული, არ ცნობენ თავს დამნაშავედ. ჩვენ ვითხოვთ, რომ აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახე არ იქნეს გამოყენებული და ალტერნატივის სახით გირაო იქნეს შეფარდებული, – განაცხადა თორნიკე ტატიშვილის ადვოკატმა თამარ ჯაფარიძემ.

ბრიგადა, რომელიც ტრაგედიამდე რამდენიმე საათით ადრე დიდ დიღომში მდებარე კორპუსში იმყოფებოდა, პოლიციამ 18 იანვარს დააკავა.

ყაზტრანსგაზის თანამშრომლები კორპუსის მცხოვრებლებმა 16 დეკემბერს მას შემდეგ გამოიძახეს, რაც ადგილობრივებმა ბუნებრივი აირის მძაფრი სუნი იგრძნეს, თუმცა, ყაზტრანსგაზის თანამშრომლებმა მათ განუცხადეს, რომ გაყვანილობა წესრიგშია და გაზის სუნი საღებავის სუნში ეშლებოდათ. რამდენიმე საათში კი ავთანდილის 8 ნომერში ტრაგედია დატრიალდა.

გაზის აფეთქებას 4 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, მათ შორის ერთი ბავშვია. 8 ადამიანი კი დაშავდა.

გუშინ, 20 იანვარს, ყაზტრანსგაზის დაკავებულ თანამშრომლებს საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მოსამართლემ ამ გადაწყვეტილებით ბრალდების მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

როგორც პროკურორმა განმარტა, არსებობს ბრალდებულების მხრიდან მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე, რის გამოც მათ პატიმრობა უნდა შეეფარდოთ. დაცვის მხარე კი აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს ითხოვდა.

დაკავებულები ბრალს არ აღიარებენ. როგორც სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს ერთ-ერთმა ბრალდებულმა ვაზელ მამადიანმა განაცხადა, მან კორპუსის თითოეული მონაკვეთი შეამოწმა, თუმცა საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინა.

– არც სუნი იყო, არც არაფერი. ჩამოვედით, აპარატი ჩავრთეთ სადარბაზოში, მაგრამ არც სუნი იყო. მრიცხველს მაინც ვაკვირდებოდი, მრიცხველი არ მოძრაობდა, – განაცხადა ვაზელ მამადიანმა და აღნიშნა, რომ იმ მომენტისთვის, როდესაც ის მეწყვილესთან ერთად მივიდა შემთხვევის ადგილზე, კორპუსში გაზის სუნი არ იდგა.

ბრალდებულების განცხადებით, კორპუსის თითოეული სართული შეამოწმეს სპეციალური აპარატით, თუმცა გაზის გაჟონვის ფაქტი ხელსაწყოთი არ დადასტურდა.

* * *

ადვოკატები მოსამართლის მიერ მიღებულ განჩინებას სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

ადვოკატმა თამარ ჯაფარიძემ სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ დაცვის მხარემ მოსამართლისგან ვერ მოისმინა დასაბუთებული გადაწყვეტილება, თუ რატომ გამოიყენა აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა.

დაცვის მხარე ითხოვდა, ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო, ვაზელ მამადიანის შემთხვევაში 50 ათასი ლარის, ხოლო თორნიკე ტატიშვილის შემთხვევაში 10 ათასი ლარი ყოფილიყო გამოყენებული.

12 წლის გიგა ბაგაშვილი აფრიკის დასახლებაში გარდაცვლილი იპოვეს

12 წლის ბავშვის ცხედარი რამდენიმედღიანი ძებნის შემდეგ აფრიკის დასახლებაში იპოვეს.

ოჯახი მას ორი დღის განმავლობაში ეძებდა. ბავშვი საცხოვრებელი სახლიდან 3 კილომეტრში, აფრიკის დასახლებაში 18 იანვარს იპოვეს.

12 წლის გიგა ბაგაშვილის ოჯახი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს და მშობლების დასახმარებლად ბავშვი ჯართს ხშირად აგროვებდა.

ის თხრილში სწორედ ჯართის მოსაგროვებლად ჩავიდა, როდესაც მიწა ჩამოიშალა და ბავშვი ქვეშ მოიყოლა.

ქაღალდების ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები და მოზარდი ერთ-ერთ თხრილში იპოვეს. სწორედ ქაღალდების ქარხნის ტერიტორიასთან ჰყავს მოზარდი დაფიქსირებული კამერებს ბოლოს.

ბავშვის იდენტიფიცირება ველოსიპედით შეძლეს, რადგან ის ამით გადაადგილდებოდა. აქვე იპოვეს სხვადასხვა ხელსაწყო, რის დახმარებითაც ჯართს ეძებდა. ზუსტად რა გახდა ბავშვის გარდაცვალების მიზეზი, ამას ექსპერტიზა დაადგენს.

– ჩანაწერი ვნახეთ, ველოსიპედით გამოიარა და ბოლო ხე რომ დგას შემოღობილთან, იმ ადგილას გააჩერა ის ველოსიპედიც. წერაქვი და ნიჩაბი ჰქონდა, რაც ვნახეთ, დანარჩენი იქ არაფერი არ ჩანს, – ამბობს ადგილობრივი.

12 წლის ბიჭის ცხედარი ექსპერტიზის ბიუროდან მის საცხოვრებელ სახლში გადაასვენეს.

წინასწარი ინფორმაციით, 12 წლის მოზარდის გარდაცვალების მიზეზი მიწის ჩამოშლა გახდა, რამაც მოზარდი ქვეშ მოიყოლა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით მიმდინარეობს.

ჭიდაობაში მომხდარი ინციდენტის გამო გამოძიება დაწყებულია



მოგეხსენებათ, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ზურაბ დათუნაშვილმა სოციალურ ქსელში განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნავს, რომ 11 იანვარს საქართველოს ჩემპიონატზე მას თავში რკინის ბლაგვი საგანი ჩაარტყა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გეგა გეგეშიძემ.

მოგვიანებით, ამ ინციდენტის კადრები რუსთავი 2-ის ეთერშიც გავიდა. თუმცა, მომხდარ დაპირისპირებაში მონაწილე პირები გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებენ, რის გამოც სასამართლო წესით დაიკითხებიან.

აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება ძალადობის მუხლით მიმდინარეობს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, სპორტის სასახლეში, ჭიდაობის ეროვნულ ჩემპიონატზე, მომხდარ დაპირისპირებასთან დაკავშირებით გამოძიება 11 იანვარს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით (ძალადობა) დაიწყო. გამოძიებამ უკვე გამოკითხა შეტყობინების ინიციატორი. ასევე, დადგენილია კონფლიქტში მონაწილე პირების ვინაობა, რომლებიც გამოსაკითხად დაბარებული იქნენ პოლიციაში. ვინაიდან მათ ინფორმაციის ნებაყოფლობით მოწოდებაზე და გამოძიებასთან თანამშრომლობაზე განაცხადეს უარი, მათი გამოკითხვა მოხდება სასამართლო წესით.

რუსთავში საეკლესიო მაღაზია გაქურდეს

რუსთავში საეკლესიო მაღაზია გაქურდეს. შემთხვევა მესხიშვილის ქუჩაზე მოხდა.

მაღაზიიდან წაღებულია 250 ლარი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ქურდობას გულისხმობს.

7 ძროხის ქურდობისთვის 3 პირი დააკავეს

შსს-ს თანამშრომლებმა, ჩატარებული ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ 7 ძროხის ქურდობის ფაქტი გახსნეს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, პოლიციამ 1994 წელს დაბადებული ნ.პ. და 1995 წელს დაბადებული შ.გ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაიკავა, 1986 წელს დაბადებულ ე.შ.-ს კი ბრალი დაუსწრებლად წარედგინა. სამივე მათგანი წარსულში ნასამართლევია.

შსს-ს ინფორმაციით, დანაშაული 6-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა ბოლნისის რაიონის სოფელ რაჭისუბანში საძოვრიდან 7 სული მსხვილფეხა პირუტყვი მოიპარეს, რომლებიც შემდეგ გაყიდეს,“ – ნათქვამია განცხადებაში.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ჩადენილი ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს.

თბილისში ავტომობილი გაძარცვეს

საბურთალოზე ტოიოტას მარკის ავტომობილი გაძარცვეს და დააზიანეს. გუშინ დილით პატრონს ავტომობილის საქარე მინა ჩამსხვრეული დახვდა, ხოლო ე.წ. კაპოტი და გარკვეული ნაწილები – მოპარული. შემთხვევა ფანასკერტელის №6-ში მოხდა. ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტთა ჯგუფი მუშაობს.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით დაიწყო, რაც ქურდობას გულისხმობს და 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ქუთაისში მიკროავტობუსი მოიპარეს

ქუთაისში, საღორიას დასახლებაში, მიკროავტობუსი მოიპარეს.

მოპარული მიკროავტობუსი სამართალდამცველებმა მალევე იპოვეს.

მიკროავტობუსი დაზიანებული არ არის. გადაყვანილია საჯარიმო სადგომზე. მას პატრონს ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ დაუბრუნებენ.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ს 177-ე მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ ბათუმში მომხდარი ყაჩაღობის სამი ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ყაჩაღობის ბრალდებით, 1997 წელს დაბადებული ე.კ. დააკავეს. დანაშაული 5-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა ბათუმში მდებარე ერთ-ერთი სუპერმარკეტიდან, დანის მუქარით, მოლარეს 900 ლარი გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. იმავე დღეს ე.კ.-მ ბათუმში კიდევ 2 სუპერმარკეტი დააყაჩაღა, საიდანაც 829 ლარი და სიგარეტები გაიტაცა.

სამართალდამცველებმა, ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან მეორე დღეს, ბათუმში დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ამოღებულია ნივთმტკიცების სახით.

გამოძიება ყაჩაღობის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

თურქეთის 2 მოქალაქე საზღვრის უკანონოდ კვეთისთვის დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, N1 სამმართველოს (ბათუმი) N1 სასაზღვრო სექტორის (სარფი) დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, თურქეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 4-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოს მიმართულებით, უკანონოდ გადმოკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ს 344-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

ამერიკული ავიამზიდი შავი ზღვისკენ მიემართება

ამერიკული ავიამზიდი „დენიელ კოკი“ შავი ზღვისაკენ მიემართება.

– ჩვენი ვიზიტის მიზანი რეგიონში სტაბილურობის უზრუნველყოფა და ჩვენი პარტნიორების დახმარებაა, – განაცხადა ხომალდის მეთაურმა მეთიუ პაუელმა.

საპროტესტო აქცია ბაქოში

ბაქოში საპროტესტო აქცია გაიმართა. მისი ორგანიზატორი ოპოზიციური „დემოკრატიულ ძალთა კავშირი“ იყო.

მთელი ბაქოს პოლიცია მობილიზებული იყო. მიუხედავად ამისა, ძალოვნები მიტინგის მსვლელობაში არ ჩარეულან. აქციამაც მშვიდობიანად ჩაიარა.

დემონსტრანტები მოითხოვდნენ ოპოზიციონერი ჟურნალისტის, ჰუსეინოვის, გათავისუფლებას, რომელსაც ცილისწამებისთვის პატიმრობა აქვს მისჯილი.

შეტაკებები საფრანგეთში

საფრანგეთში ყვითელი ჟილეტების პროტესტი გრძელდება.

ქალაქ რენში გაიმართა მანიფესტაცია. მასში 2.000-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მანიფესტანტებმა მთავარ მოედანზე შეღწევა ცადეს. პოლიციამ მათ ამის საშუალება არ მისცა.

შეტაკებისას პოლიციამ რეზინის ხელკეტები და ცრემლმდენი გაზი გამოიყენა. პასუხად დემონსტრანტებმა მათ ქვები დაუშინეს.

შედეგად ორივე მხარეს არიან დაზარალებულნი.

ერთ-ერთი დემონსტრანტი ასთმის შეტევით საავადმყოფოში მოათავსეს. ორი ნაცემია. ისინი ასევე ჰოსპიტალიზებულნი არიან.

ტრავმა ორმა პოლიციელმაც მიიღო, რომლებიც საავადმყოფოში მოათავსეს.

ბულგარეთმა რუსი ჰაკერი აშშ-ს გადასცა

ბულგარეთმა რუსი ჰაკერი, ჟუკოვი, აშშ-ს გადასცა.

ამერიკის პროკურატურა ჟუკოვს ბრალად დანაშაულებრივი ჯგუფის წევრობას სდებს. ამ ჯგუფმა აშშ-ს რამდენიმე მილიონი დოლარის ზარალი მიაყენა.

ახლა ჟუკოვი სასამართლოს წინაშე წარდგება.

ჩილეში 6.7 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა



ჩილეს ჩრდილოეთ ნაწილში 6.7 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. ექსპერტებმა მიწისძვრის შედეგად ცუნამის საშიშროება გამორიცხეს.

განსაკუთრებით დაზიანდა წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარე ქალაქი ლა სერენა. დაინგრა ძველი შენობების ნაწილი.

ჩილე სეისმურად აქტიურ ზონაში მდებარეობს და ძლიერი მიწისძვრები ხშირია. ბოლო პერიოდის ყველაზე ძლიერი მიწისძვრა 2010 წელს დაფიქსირდა, როდესაც მიწისძვრის სიმძლავრემ 8.8 მაგნიტუდა შეადგინა.

მექსიკაში ნავთობსადენი აფეთქდა 66 ადამიანი დაიღუპა

მექსიკაში ნავთობსადენის აფეთქების შედეგად 66 ადამიანი დაიღუპა.

დაშავებულთა რაოდენობა 80-ს აღწევს.

ტრაგედია იადალგოს რეგიონში იმ დროს მოხდა, როდესაც ადგილობრივები საწვავის მოპარვას ცდილობდნენ.

დაღუპულთა შორის არასრულწლოვნებიც არიან, ათობით დაშავებულის მდგომარეობა კი კრიტიკულია.

აფეთქებას ადგილზე მასშტაბური ხანძარი მოჰყვა, რომელსაც მაშველები რამდენიმე საათის განმავლობაში აქრობდნენ.

რამ გამოიწვია მილსადენზე გაჟონვა, ჯერჯერობით უცნობია.

ტრაგედიის შემდეგ რეგიონში მექსიკის პრეზიდენტი ჩავიდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბერლინის პროკურატურა გერმანიის თავდაცვის მინისტრის საქმეს სწავლობს

ბერლინის პროკურატურა გერმანიის თავდაცვის მინისტრ ურსულა ფონ დერ ლაიენთან დაკავშირებით ინფორმაციას ამოწმებს. კერძოდ, საქმე ეხება მინისტრის მიერ კომპანია „აქსენტურთან“ საკონსულტაციო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით გაფორმებულ შეთანხმებას და ამის ფარგლებში უფლებამოსილების შესაძლო გადაჭარბებას.

შემოწმება მას შემდეგ დაიწყო, რაც 2018 წლის დასასრულს პროკურატურაში ანონიმური განცხადება შევიდა, რომელიც გერმანიის აუდიტორთა ფედერალური პალატის შეფასებაზეა დაფუძნებული. დოკუმენტში განხილულია სამინისტროს ციფრულ სფეროში 19.5 მილიონი ევროს ღირებულების პროექტები.

ამასთან, გერმანიის აუდიტორთა ფედერალური პალატის წარმომადგენლები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ქვეყნის თავდაცვის სამინისტრომ, ჯამში, 1 მილიონი ევრო არამიზნობრივად დახარჯა.

პალატა სამინისტროსგან ითხოვს, ხარჯებზე პასუხისმგებელი პირი გამოიკვეთოს.

ტრამპმა შათდაუნის შესაჩერებლად ახალი გეგმა წარადგინა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა შათდაუნის (მთავრობის მიერ მუშაობის შეწყვეტა) შესაჩერებლად ახალი გეგმა წარადგინა.

ტრამპი კვლავ ითხოვს მექსიკის საზღვარზე კედლის მშენებლობისთვის ბიუჯეტიდან 5,7 მილიარდი დოლარის გამოყოფას, თუმცა სანაცვლოდ მზად არის, მიიღოს კანონი, რომელიც გარკვეული კატეგორიის მიგრანტებს დეპორტაციისგან დაიცავს.

მისივე განცხადებით, მიგრანტები, რომლებიც აშშ-ში მშობლებთან ერთად ბავშვობაში ჩავიდნენ, მოქალაქეობას მიიღებენ. დემოკრატები ტრამპის განცხადებას ეწინააღმდეგებიან და მას მიგრანტების თემის მოგვიანებით განხილვისკენ მოუწოდებენ.

აშშ-ში უკვე 1 თვეა, რაც შათდაუნი გრძელდება. კერძოდ, აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ-ის ფედერალური მთავრობა მუშაობას არ განაახლებს, ვიდრე დემოკრატები კონგრესში მექსიკასთან საზღვარზე კედლის აშენებისთვის დაფინანსებას არ გამოყოფენ.

შედეგად დაახლოებით 800.000 ადამიანს ხელფასის გარეშე უწევს მუშაობა.

ხმელთაშუა ზღვაში 170 მიგრანტი დაიღუპა

ხმელთაშუა ზღვაში 2 ნავის ჩაძირვის შედეგად, სავარაუდოდ, 170 მიგრანტი დაიღუპა.

ამის შესახებ „დოიჩე ველე“ იუწყება.

სამმა მიგრანტმა, რომლებიც გადარჩნენ, განაცხადეს, რომ ნავში 120 ადამიანი იმყოფებოდა, რომელთა უმეტესობა დასავლეთ აფრიკიდან იყო.

ნავმა ლიბიის სანაპირო ხუთშაბათს დატოვა და დაახლოებით 10-11 საათის შემდეგ ჩაძირვა დაიწყო. ბორტზე 10 ქალი და 2 ბავშვიც იმყოფებოდნენ. ლიბიამ იმ რაიონში, სადაც ნავი ჩაიძირა, სავაჭრო გემი გაგზავნა, მაგრამ ვერავინ იპოვეს.

კიდევ 53 მიგრანტი, რომლებმაც მაროკო ნავით დატოვეს, სავარაუდოდ, ასევე დაღუპულები არიან. წინასწარი მონაცემებით, გემი, რომელზეც გადარჩენილები იმყოფებოდნენ, ალბორანის ზღვაში რაღაცას შეეჯახა.

გასული წლის განმავლობაში ხმელთაშუა ზღვაში 2.297 მიგრანტი დაიღუპა, ევროპაში კი 116.959-მა მიგრანტმა მიაღწია.

უკრაინა: მოსკოვის საპატრიარქო პოზიციებს თმობს

ჟიტომირის ოლქში 3 რელიგიური თემი ერთიანი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენლობაში გადავიდა.

ამის თაობაზე გადაწყვეტილება თითქმის ერთხმად იქნა მიღებული. ერთიან უკრაინულ ავტოკეფალიურ ეკლესიას სამი მღვდელიც შეუერთდა. ისინი ადრე მოსკოვის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებულ ტაძრებში წირავდნენ.

– მოსკოვის საპატრიარქო პოზიციებს თმობს და ეს ყოველგვარი ძალადობის გარეშე ხდება, – ამბობს ჟიტომირის ოლქის გუბერნატორი გენდიჩი.

100-მდე ეკლესია, რომელიც ადრე მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, უკვე ერთიანი უკრაინული მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესიის კუთვნილებაში გადავიდა.

ეს პროცესი გრძელდება.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ბითაძემ რეალთან გაიბრწყინა და ორმაგი დუბლი გააკეთა

ფაჩულია ნბა-ში დაფრინავს

საკალათბურთო მიმოხილვას ძირითადად ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციითა და ზაზა ფაჩულიათი ვიწყებთ, მაგრამ ამჯერად პირველობას გოგა ბითაძეს დავუთმობთ, რომელმაც ფენომენალური თამაში აჩვენა ევროლიგის გასული სეზონის ჩემპიონის წინააღმდეგ.

19 წლის ქართველმა ჩერნოგორიული ბუდუჩნოსტის შემადგენლობაში ევროლიგის მატჩში მადრიდის რეალი დაამარცხა. თუკი ვინმეზე შეიძლება ითქვას, რომ ბალკანურ გუნდს ევროპის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი დაამარცხებინაო, ეს უპირველესად გოგა ბითაძეა. მატჩის დასკვნით ათწუთიულში, 5-წუთიან მონაკვეთში, ქართველმა ცენტრმა მიჯრით 8 ქულა ჩააგდო, რის შემდეგაც შეხვედრის დასრულებამდე 2:47 წუთით ადრე ბუდუჩნოსტი 69:56 დაწინაურდა და მატჩის ბედიც გაირკვა. პოდგორიცელებმა საბოლოოდ 73:60 გაიმარჯვეს და ევროლიგის მოქმედი ჩემპიონი და ახლაც ტიტულისთვის მებრძოლი გუნდი სასტიკად შეარცხვინეს.

ამასთან, ქართველმა ცენტრმა ევროლიგის პირველი ორმაგი დუბლი გაიფორმა. ბითაძემ 28 წუთი ითამაშა და მის ანგარიშზე მთლიანობაში 13 ქულა, 10 მოხსნა, 3 დაფარება და 1 ჩაჭრა დაგროვდა. გოგამ 6-დან 3 ორქულიანი, 4-დან 4 საჯარიმო და 5-დან 1 სამქულიანი ჩააგდო. მას თავიდან შედეგიანად არ წაუვიდა თამაში, თუმცა მადრიდული გუნდის წევრთა ყურადღებას იმდენად იზიდავდა, რომ მის თანაგუნდელებს მეტი სამოქმედო არეალი ექმნებოდათ და თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში ბუდუჩნოსტი ლიდერი იყო.

თავში ნახსენები ეპიზოდი, როცა ბოლო პერიოდში, 5 წუთის განმავლობაში ბუდუჩნოსტელთაგან ბურთი ქართველის გარდა არავის ჩაუგდია და ბითაძის ზედიზედ მოგროვებული 8 ქულის შემდეგ ჩერნოგორიული კლუბი 13 ქულით დაწინაურდა, ნათლად მიუთითებს სამეფო კლუბის დამარცხებაში ბითაძის უდიდეს წვლილზე.

გოგა ბითაძე:

– დიდი მატჩი იყო, ჩვენ ხომ ჩემპიონები დავამარცხეთ! ძალიან მაგარი შეგრძნებაა აქ, ამ მაყურებლის წინაშე გამარჯვების მოპოვება. ყველას მადლობა მოსვლისა და მხარდაჭერისთვის. ჩვენ 100% გავიღეთ ამ მოგებისთვის. მთავარი იყო მოტივაცია და კონცენტრაცია.

ბითაძესთან ერთად ბუდუჩნოსტში 12-12 ქულა-მოხსნით კოტი კლარკი გამოირჩა, ნორის კოულმა 14 ქულა მიითვალა, ხოლო ედვინ ჯეკსონის და ერლ კლარკის ანგარიშზე 10-10 ქულა დაგროვდა.

რეალში 10 ქულით ბომბარდირი გახდა სერხიო ლული, ტრეი ტომპკინსმა – 9, ხოლო რუდი ფერნანდესმა 8 ქულა მოაგროვეს.

5 მოგებითა და 14 მარცხით ბუდუჩნოსტი ბოლოწინა, მე-15 ადგილზეა. შემდეგ ტურში პოდგორიცელები ესპანურ გრან კანარიას უმასპინძლებენ.

რაც დეტროიტში გადავიდა, ზაზა ფაჩულიას დიდი სათამაშო დრო არ ჰქონია და ეს ზედიზედ 2 მატჩში მიეცა. პირველად პისტონსმა მაიამის უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 98:93 დაამარცხა.

ფაჩულია სათადარიგო იყო, თუმცა მოედანზე 28 წუთით გამოჩნდა, რაც მისთვის მიმდინარე სეზონში და შესაბამისად, დეტროიტში სარეკორდო რაოდენობა იყო. ქართველი ცენტრის ხანგრძლივი თამაში დეტროიტელთა ძირითადი ცენტრის, ანდრე დრამონდის ტრავმამ განაპირობა, რომელიც მატჩის დაწყებიდან 7 წუთში დაშავდა და მოედანი დატოვა.

ხსენებულ დროში ზაზამ მხოლოდ 2 ქულა მიითვალა, მაგრამ სამაგიეროდ, ფარზე ბატონობდა – 9 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა. ზაზამ 3-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, ხოლო საჯარიმო და სამქულიანები არ უსვრია. აღსანიშნავია, რომ 9 მოხსნიდან 4 შეტევაში მიითვალა. ქართველ ცენტრზე მეტი მოხსნით მატჩი მაიამიდან ჰასან უაითსაიდმა (10 მოხსნა) და დეტროიტიდან ბლეიქ გრიფინმა (11 მოხსნა) დაასრულეს. აი, ჩაჭრებში კი, თანაგუნდელ ხოსე კალდერონთან ერთად საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა (2).

ზაზას მიმდინარე წლის დასაწყისში ზედიზედ 8 მატჩი გაუცდა ტრავმის გამო და გამოჯანმრთელების შემდეგ ეს მისი მხოლოდ მეორე თამაში იყო. სხვათა შორის, აღნიშნულ გარეოობას ხაზი დეტროიტის მთავარი მწვრთნელის დუეინ კეისმაც გაუსვა, რომელმაც აღნიშნა, რომ ზაზას დიდი ძალისხმევით და დახმარებით პისტონსმა ჰიტისთან კრიტიკული გამარჯვება მოიპოვა.

დუეინ კეისი:

– ზაზა გამოცდილი პროფესიონალია და ჩვენი თამაში დაასტაბილურა. დიდწილად, სწორედ მისი დახმარების წყალობით მოვახერხეთ ამ თამაშში წარმატების მიღწევა. ეს დიდი, ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვებაა და ვიცოდით, რომ ასე იქნებოდა.

კიდევ უფრო მეტი დრო მიეცა ზაზას საკრამენტოსთან და საკმაოდ კარგადაც გაისარჯა. ერთია, ორლანდოსთან და მაიამისთან ზედიზედ 2 უმნიშვნელოვანესი მატჩის მოგების შემდეგ, დეტროიტი დამარცხდა. პისტონსმა დაძაბულ ბრძოლაში 101:103 წააგო.

რადგან მაიამისთან შეხვედრაში დეტროიტმა მთავარი ცენტრი, ანდრე დრამონდი ტრავმის გამო დაკარგა, ფაჩულია სასტარტო ხუთეულში გახლდათ და ქართველმა ვეტერანმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, მაღალ დონეზე თამაში დიდხანსაც შეუძლია.

ზაზამ პარკეტზე 35 წუთი გაატარა. ამ დროში 34 წლის ფაჩულიამ 12 მოხსნა (6 შეტევაში, 6 დაცვაში) გააკეთა, რაც ასევე სეზონის საუკეთესო მაჩვენებელია. ამრიგად, ფაჩულიამ მასზე დაკისრებულ ამოცანას ამ მატჩშიც შესანიშნავად გაართვა თავი. მის აქტივში ასევე 7 ქულა და 2 პასია. ზაზამ შვიდიდან 3 ორქულიანი ჩააგდო და ორიდან ერთი საჯარიმო ზუსტად ესროლა. პლუს ამას, მის ანგარიშზე 1 ჩაჭრა და 1 დაფარებაცაა.

დეტროიტს აღმოსავლეთ კონფერენციაში 44 მატჩის შემდეგ 20 მოგება და 25 წაგება დაუგროვდა. პისტონსი ამ დროისთვის მეცხრე ადგილზეა და სასურველ მერვე პოზიციას ერთადერთი მოგებით ჩამორჩება, ხოლო მომდევნო შეხვედრას ვაშინგტონთან ჩაატარებს და ფაჩულიას გუნდისთვის ის მატჩი უფრო მნიშვნელოვანია, რადგან უიზარდსი პისტონსის უშუალო კონკურენტია.

იტალიელებმა ლოკომოტივი განირეს

ორმა იტალიურმა სარაგბო კლუბმა ისე გააკეთა, რომ ლოკომოტივი კონტინენტის ფარს მიღმა დარჩენილიყო. ფიამე ორომ ბრძოლა არ გაუმართა კალვიზანოს, 10:33 დამარცხდა და ამ უკანასკნელმა ჯგუფში 14 ქულით პირველი ადგილი დაიკავა.

მეორე ადგილზე 12 ქულით ლოკომოტივი გავიდა, რომელიც ჯგუფში ჩარჩა. არადა, ჩვენმა გუნდმა კარგად იასპარეზა და უფრო მეტად ამიტომ არის გულდასაწყვეტი ტურნირიდან მისი გამოთიშვა.

იმისათვის, რათა კალვიზანოს ჯგუფში გაემარჯვა, ან 22 ქულით უნდა გაემარჯვა, ან ბონუსით და მიზანს მიაღწია (23 ქულით მოიგო და 5 ლელო დადო), რაშიც თანამემამულეებმა დიდად არ შეუშალეს ხელი.

შეგახსენებთ, რომ ლოკომოტივმა ფიამე ორო ორჯერ დაამარცხა, კალვიზანოს სტუმრად სძლია, თბილისში კი 6:17 დამარცხდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სტუმრად ქართულმა გუნდმა კალვიზანო კი დაამარცხა, მაგრამ ბოლოს მასპინძლებმა ბონუსი აიღეს, რაც საბოლოოდ გადამწყვეტი აღმოჩნდა.

გიორგი ლორია კარიერას მაგდებურგში გააგრძელებს

საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლორია მაგდებურგში გადავიდა. მაგდებურგი გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში ბოლოსწინა, მე-17 ადგილზეა. ზოგადად კი ტრადიციული კლუბია: 1974 წელს თასების მფლობელთა თასი მოიგო, რომლის ფინალშიც მილანი 2:0 დაამარცხა.

ეს ინფორმაცია იმიტომაც არის კიდევ უფრო საინტერესო, რომ ლორია კარგა ხანს უკლუბოდ გახლდათ და თბილისის დინამოში ვარჯიშობდა. მიუხედავად ამისა, 32 წლის მეკარემ კარგად ითამაშა ერთა ლიგაზე და 6 მატჩში მხოლოდ 2 გოლი გაუშვა. თუმცა, ეპიზოდებში უთამაშებლობა ეტყობოდა. ახლა კი, სავარაუდოდ, გაცილებით მეტი პრაქტიკა ექნება. ერთია, კონტრაქტი მხოლოდ 30 ივნისამდეა გათვლილი.

გერმანული პრესა წერს, რომ ლორიას ტრანსფერი დიდწილად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელების, პრეზიდენტ ლევან კობიაშვილისა და ვიცეპრეზიდენტ ალექსანდრე იაშვილის კავშირებითაც მოხდა.

შარშანწინ მაგდებურგის გენერალური დირექტორი მარიო მალნიკი და სპორტული დირექტორი მაიკ ფრანცი კობიაშვილისა და იაშვილის მოწვევით საქართველოში იყვნენ. ფრანცი ქართველების თანაგუნდელი იყო ფრაიბურგსა და ჰერტაში.

მაიკ ფრანცი:

– ქართველებთან კარგი და საქმიანი ურთიერთობა გვაქვს. გავცვალეთ აზრები, შემდეგ საქართველო-მოლდოვის მატჩს (1:1) დავესწარით. ამჯერად კი კობიაშვილსა და იაშვილს ვესაუბრეთ, მერე კი ლორიასაც დავუკავშირდით.

მეკარის პოზიცია? მას შემდეგ, რაც იასმინ ფეიზიჩი წავიდა, პრობლემები დაგვეწყო. 3 ახალგაზრდა მეკარით სეზონის გაგრძელება ძალიან გაბედული ნაბიჯი იქნებოდა. ლორიას საინტერესო კარიერა აქვს და დიდი გამოცდილება გააჩნია. თავისუფლად საუბრობს ინგლისურად.

ლორიამ გერმანიის ფაქტორი გაითვალისწინა. სხვა ქვეყნის კლუბში უფრო დიდ თანხას იშოვიდა, მაგრამ მაგდებურგის შემოთავაზებას დათანხმდა. გიორგის პირდაპირ ვუთხარით, რომ ბრუნსტი მაგდებურგის მთავარი მეკარეა. ბრუნსტი გუნდის მომავალია, მაგრამ კონკურენცია უფრო ეფექტური გახდება.

იკარდი ინტერში დარჩება

ბოლო დროს მაურო იკარდის შესახებ მითქმა-მოთქმა არ წყდება. მისი შეძენა რამდენიმე გრანდს სურს, გარდა ამისა, ნერაძური არგენტინელის გამშვები არ არის. ასევე იწერებოდა, რომ ფეხბურთელის მეუღლე და, ამავდროულად, აგენტი ვანდა ნარა იტალიელთა შეფობას უნდა შეხვედროდა და მაუროს მომავალთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიეღოთ.

ვანდა ნარა:

– კლუბის მესვეურებთან შეთანხმებას მივაღწიეთ. იკარდი კარიერას ინტერში გააგრძელებს. ახლა ნერაძურისთან არანაირი პრობლემა არ გვაქვს და გულშემატკივრებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ.

როგორც უკვე გითხარით მილანელთა კაპიტნით არაერთი გუნდი ინტერესდება. ბოლო შეძენა რეალს, მანჩესტერს, პსჟ-სა და ბაიერნს სურთ. ამ სეზონში გოლეადორმა 23 შეხვედრა ჩაატარა და 14 გოლი გაიტანა.

დღეს ვადა იწურება, კანდიდატი მხოლოდ კობიაშვილია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ლევან კობიაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად ოფიციალურად დარეგისტრირდა. კობიაშვილის კანდიდატურა სფფ-ში ფეხბურთის ფედერაციის 27-მა სუბიექტმა წარადგინა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაცია დღეს იწურება და ამ დრომდე საკუთარი კანდიდატურა მხოლოდ კობიაშვილს აქვს წარდგენილი.

ქართული ფეხბურთის მმართველი ორგანოს პრეზიდენტს 15 თებერვალს სფფ-ის ყრილობაზე აირჩევენ. გამარჯვებული კანდიდატი აღნიშნულ თანამდებობას მომავალი 4 წლის განმავლობაში დაიკავებს.

შედეგები

19 იანვარი

ფეხბურთი

ინგლისი. ჰიმეიჩიგა

ვულვზი-ლესტერი 4:3
ბორნმუთი-ვესტ ჰემი 2:0
ლივერპული-კრ.პალასი 4:3
მანჩესტერი-ბრაიტონი 2:1
ნიუკასლი-კარდიფი 3:0
საუთჰემპტონი-ევერტონი 2:1
უოტფორდი-ბარნლი 0:0
არსენალი-ჩელსი 2:0

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	23	19	3	1	54-13	60
2.სიტი	22	17	2	3	59-17	53
3.ტოტენჰემი	22	16	0	6	46-22	48
4.ჩელსი	23	14	5	4	40-19	47
5.არსენალი	23	13	5	5	48-32	44
6.მანჩესტერი	23	13	5	5	46-33	44
7.უოტფორდი	23	9	6	8	32-32	33
8.ვულვზი	23	9	5	9	27-31	32
9.ლესტერი	23	9	4	10	29-29	31
10.ვესტ ჰემი	23	9	4	10	30-34	31
11.ევერტონი	23	8	6	9	34-33	30
12.ბორნმუთი	23	9	3	11	33-42	30
13.ბრაიტონი	23	7	5	11	25-32	26
14.კრ.პალასი	23	6	4	13	23-32	22
15.საუთჰემპტონი	23	5	7	11	25-40	22
16.ბარნლი	23	6	4	13	23-43	22
17.ნიუკასლი	23	5	6	12	19-31	21
18.კარდიფი	23	5	4	14	19-44	19
19.ფულემი	22	3	5	14	20-49	14
20.ჰადერსფილდი	22	2	5	15	13-37	11

ინგლისი. ჩემპიონიგა

ასტონ ვილა-ჰალი 2:2
ბლექბერნი-იფსვიჩი 2:0
დერბი-რედინგი 2:1
ქპრ-პრესტონი 1:4
მიდლსბრო-მილუოლი 1:1
ნოტინგემი-ბრისტოლი 0:1
როტერჰემი-ბრენტფორდი 2:4
სტოკი-ლიდსი 2:1
უენსდი-უიგანი 1:0
სუონსი-შეფილდი 1:0

ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი

რეალი-სევილია 2:0
უესკა-ატლეტიკო 0:3
სელტა-ვალენსია 1:2

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	19	13	4	2	53-20	43
2.ატლეტიკო	20	11	8	1	30-13	41
3.რეალი	20	11	3	6	30-24	36
4.სევილია	20	9	6	5	31-22	33
5.ალავესი	20	9	5	6	22-23	32
6.ხეტაფე	20	8	7	5	25-16	31
7.ვალენსია	20	5	11	4	19-18	26
8.ბეტისი	19	7	5	7	22-23	26
9.სოსიედადი	19	7	4	8	23-22	25
10.ხირონა	19	5	9	5	21-23	24
11.ესპანიოლი	19	7	3	9	21-27	24
12.ლევანტე	19	6	5	8	30-35	23
13.ვალიადოლიდი	19	5	7	7	17-21	22
14.ლეგანესი	19	5	7	7	17-21	22
15.ბილბაო	19	4	10	5	20-25	22
16.ეიბარი	19	5	7	7	21-28	22
17.სელტა	20	5	6	9	32-34	21
18.რაიო	19	5	4	10	22-34	19
19.ვილიარეალი	19	3	8	8	20-25	17
20.უესკა	20	2	5	13	17-39	11

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალმერია-კადისი 0:0
ნუმანსია-კორდობა 3:2
მაჰადაონდა-სარაგოსა 2:2
მალაგა-ლუგო 2:1

გერმანია. ბუნდესლიგა

აინტრახტი-ფრაიბურგი 3:1
აუგსბურგი-ფორტუნა 1:2
ლევერკუზენი-გლადბახი 0:1
ჰანოვერი-ვერდერი 0:1
შტუტგარტი-მაინცი 2:3
ლაიპციგი-დორტმუნდი 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.დორტმუნდი	18	14	3	1	45-18	45
2.ბაიერნი	18	12	3	3	39-19	39
3.გლადბახი	18	11	3	4	37-18	36
4.ლაიპციგი	18	9	4	5	31-18	31
5.აინტრახტი	18	9	3	6	37-24	30
6.ვოლფსბურგი	17	8	4	5	27-22	28
7.ჰოფენჰაიმი	18	6	7	5	33-26	25
8.ვერდერი	18	7	4	7	29-29	25
9.ჰერტა	17	6	6	5	26-27	24
10.ლევერკუზენი	18	7	3	8	26-30	24
11.მაინცი	18	6	6	6	20-24	24
12.ფრაიბურგი	18	5	6	7	22-28	21
13.ფორტუნა	18	6	3	9	21-34	21
14.შალკე	17	5	3	9	20-24	18
15.აუგსბურგი	18	3	6	9	26-31	15
16.შტუტგარტი	18	4	2	12	14-38	14
17.ჰანოვერი	18	2	5	11	17-36	11
18.ნიურნბერგი	17	2	5	10	14-38	11

იტალია. სერია ა

რომა-ტორინო 3:2
უდინეზე-პარმა 1:2
ინტერი-სასუოლო 0:0

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	19	17	2	0	38-11	53
2.ნაპოლი	19	14	2	3	37-17	44
3.ინტერი	20	12	4	4	31-14	40
4.რომა	20	9	6	5	37-26	33
5.ლაციო	19	9	5	5	28-21	32
6.მილანი	19	8	7	4	26-20	31
7.სამპდორია	19	8	5	6	32-23	29
8.ატალანტა	19	8	4	7	39-27	28
9.პარმა	20	8	4	8	19-24	28
10.ტორინო	20	6	9	5	26-22	27
11.ფიორენტინა	19	6	8	5	25-18	26
12.სასუოლო	20	6	8	6	30-32	26
13.კალიარი	19	4	8	7	17-25	20
14.ჯენოა	19	5	5	9	25-35	20
15.უდინეზე	20	4	6	10	17-25	18
16.სპალი	19	4	5	10	15-27	17
17.ემპოლი	19	4	4	11	22-37	16
18.ბოლონია	19	2	7	10	15-29	13
19.კიევო	19	1	8	10	14-35	11
20.ფროზინონე	19	1	7	11	12-37	10

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

კარპი-ფოჯა 0:2
კროტონე-ჩიტადელა 0:0
ლეჩე-ბენევენტო 1:1
პერუჯა-ბრეშა 0:2

საფრანგეთი. 1 ლიგა

პსჟ-გენგამი 9:0
მონაკო-სტრასბური 1:5
ნიმი-ტულუზა 0:1
რეიმსი-ნიცა 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	19	17	2	0	62-10	53
2.ლილი	21	12	4	5	34-21	40
3.სტ.ეტიენი	20	10	6	4	31-23	36
4.ლიონი	20	9	7	4	33-24	34
5.სტრასბური	21	8	8	5	37-25	32
6.მონპელიე	19	8	7	4	26-16	31
7.ნიცა	21	8	7	6	16-19	31
8.რენი	20	8	5	7	29-27	29
9.მარსელი	19	8	4	7	32-29	28
10.რეიმსი	21	6	10	5	17-20	28
11.ნიმი	20	7	5	8	27-29	26
12.ბორდო	19	6	7	6	22-22	25
13.ტულუზა	21	6	7	8	21-31	25
14,ნანტი	20	6	5	9	26-27	23
15.ანჟე	19	4	8	7	21-24	20
16.კაენი	20	3	9	8	20-28	18
17.ამიენი	21	5	3	13	18-36	18
18.დიჟონი	19	4	5	10	17-32	17
19.მონაკო	21	3	6	12	19-36	15
20.გენგამი	21	3	5	13	16-45	14

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლანსი-ნანსი 2:1
ნიორი-გრენობლი 1:1

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

ალკმაარი-უტრეხტი 3:0
დენ ჰააგი-ვენლო 2:4
ზვოლე-ფეინოორდი 3:1
გრონინგენი-ერაკლესი 3:0

პორტუგალია. ჰიმეიჩა ლიგა

ბელენენსეში-ტონდელა 2:2
სპორტინგი-მორეირენშე 2:1
სანტა კლარა-მარიტიმუ 0:1

ბელგია. 1 დივიზიონი

სტანდარდი-კორტრაიკი 2:1
ბევერენი-სერკლი 1:1
ეუპენი-ლოკერენი 4:1
ვარეგემი-ანტვერპენი 1:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

იანინა-ოლიმპიაკოსი 1:2
აპოლონი-ლევადიაკოსი 0:0
პაოკი-პანიონიოსი 3:0

თურქეთი. სუპერლიგა

ერზრუმი-ქონია 1:2
მალათია-გიოზთეფე 3:2
ანთალია-ქაისერი 0:0
გალათასარაი-ანკარაგიუჯიუ 6:0

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

თანაკლასელების გამო სკოლიდან გაქცეული გოგონა მილიონერი გახდა

დიდ ბრიტანეთში 16 წლის გოგონამ სკოლა იმის გამო მიატოვა, რომ თანაკლასელების მხრიდან დაცინვის ობიექტად იყო ქცეული, ხოლო 20 წლისა მილიონერი გახდა. მან თავისი ისტორია ერთ-ერთ ადგილობრივ გამოცემას უამბო.

შოტლანდიის ქალაქ გლაზგოს მკვიდრი ლივ კონლონი საკმაოდ წარმატებული მოსწავლე იყო, მაგრამ სკოლა გამოსაშვებ კლასში გადასვლის წინ დატოვა, ვინაიდან თანაკლასელები გამუდმებით დასცინოდნენ. კონლონმა მეწარმეობას ხელი 13 წლის ასაკიდან მიჰყო. ის საქონელს ჩინეთიდან უკვეთდა და შემდეგ ინტერნეტით ყიდდა. ასე მან ხუთი ათასი ფუნტი სტერლინგი გამოიმუშავა.

კომპანიის შექმნის იდეა გოგონას მას შემდეგ დაებადა, რაც დედამისმა სამი თვის განმავლობაში საკუთარი წარმატებული კომპანიის გაყიდვა ვერ შეძლო, რომელიც ტრენინგებით იყო დაკავებული. ქალს არ შეეძლო საკუთარი თავისთვის იმის უფლების მიცემა, რომ დიზაინერი დაექირავებინა, რომელიც სტუდიას გაყიდვებისთვის გამზადებდა. კონლონი დედას დაეხმარა შენობის მოწყობაში და სამი დღის შემდეგ მისი მყიდველიც გამოჩნდა, რომელმაც შენობა იმაზე ძვირადაც კი იყიდა, ვიდრე გოგონას ჰქონდა დაგეგმილი. მაშინ ის მიხვდა, რომ ბაზარზე დაბალ ფასად ასეთ მომსახურებაზე იყო მოთხოვნილება და გადაწყვიტა, კომპანია მცირე სასტარტო კაპიტალითა და ინვესტორების გარეშე დაეარსებინა.

პირველ წელს კომპანიის მოგებამ 30 ათასი ფუნტი სტერლინგი შეადგინა, ხოლო მეორე წელს მილიონ ფუნტამდე გაიზარდა. კონლონის კომპანია წელიწადში ავეჯით 300-ზე მეტ ბინას აწყობს. მასში ათი ადამიანია დასაქმებული, მათ შორის გოგონას 52 წლის დედა და 22 წლის ძმაც.

ექიმებმა ავადმყოფი 15 ქილა ლუდის დახმარებით გადაარჩინეს

ვიეტნამში ექიმებმა მამაკაცი ალკოჰოლით მოწამვლით სიკვდილისგან მისთვის 4,5 ლიტრი ლუდის გადასხმით გადაარჩინეს.

ინციდენტი კუანგჩის პროვინციის ერთ-ერთ საავადმყოფოში მოხდა. რეანიმაციის განყოფილების ხელმძღვანელის, ექიმ ლე ვან ლამას თქმით, სასწრაფო დახმარებამ მათთან 48 წლის ნგუენ ვან ნხატა მძიმე მდგომარეობაში მყოფი მიიყვანა. მის სისხლში მეთანოლის დონე დასაშვებ ნორმას 1119 ჯერ აღემატებოდა იმის გამო, რომ ძალიან ბევრი უხარისხო ალკოჰოლური სასმელი მიიღო.

ექიმებმა გადაწყვიტეს, მის ორგანიზმში 0,3 ლიტრი მოცულობის სამი ქილა ლუდი მასში მეთანოლის ანტიდოტის, ეთანოლის შემცველობის გამო შეეყვანათ. ამან მამაკაცს უშველა, ვინაიდან მას მომდევნო 12 საათის განმავლობაში საათში ერთხელ თითო ქილა ლუდს აძლევდნენ. მთელი ამ დროის განმავლობაში პაციენტს ექიმები გემოდიალიზს უკეთებდნენ – სისხლის გაწმენდას სიცოცხლისთვის საშიში ტოქსინებისგან. სამი კვირის შემდეგ ის სრულიად გამოჯანმრთელებული გაეწერა საავადმყოფოდან.

ქალი სასწრაფოს გარეთ გადმოყრილი შიგნეულობით ელოდა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა ქალბატონმა მშობლებისთვის განკუთვნილ სპეციალურ ვებ-გვერდზე მოყვა იმ შემთხვევის შესახებ, რომელიც მას მშობიარობის შემდეგ შეემთხვა. მუცელზე ნაკერის გახსნის გამო, მას საკუთარი შინაგანი ორგანოების ხელებით შეკავება უხდებოდა.

საკეისრო კვეთით მშობიარობიდან ხუთი დღის შემდეგ მელ ბრემნერი შხაპს იღებდა. როდესაც ის შამპუნის ასაღებად დაიხარა. მუცელზე ნაკერი გაეხსნა და შინაგანმა ორგანოებმა დაიწყო გადმოცვენა. მან მათი ხელებით დაჭერა მოასწრო და მეუღლეს დაუძახა. ის მას დივანამდე მიღწევაში დაეხმარა, პირსახოცი მისცა და სასწრაფო გამოიძახა.

ქალმა გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელიც იმ დროს იქნა გადაღებული, როდესაც ის ექიმების მისვლას ელოდებოდა.

– როდესაც ამ ფოტოსურათს ვუყურებ, მახსენდება, თუ როგორ ვიჯექი იქ და საკუთარი ორგანოები ხელით მეჭირა, – წერს ბრემნერი, – ისინი ბუყბუყებდნენ და ტოკავდნენ, ეს ნამდვილი საშინელება იყო.

ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს და ოპერაცია გაუკეთეს. ორი დღის შემდეგ კი ისევ გამოწერეს. სპეციალისტის აზრით, ნაკერის გახსნის მიზეზი ან მეტისმეტად მოკლე ძაფი, ან სუსტი კვანძი გახდა.

შიშველი და სმარტფონიანი ეშმაკის ქანდაკებამ სკანდალი გამოიწვია

ესპანეთის ქალაქ სეგოვიაში ეშმაკის ქანდაკების დადგმა სასამართლოს გადაწყვეტილებამდე მორწმუნეთა პროტესტის გამო გადაიდო.

ნავარაუდევი იყო, რომ ის ტურისტებს შეახსენებდა ლეგენდას იმის შესახებ, რომ სეგოვიას ცნობილი აკვადუკი სინამდვილეში მოტყუებულმა ეშმაკმა ააშენა.

– ყველაფერი ლიუბეკში წასვლით დაიწყო, – ყვება მოქანდაკე ხოსე ანტონიო აბეია, – მათაც აქვთ ლეგენდა ეშმაკზე, რომელიც მოტყუებით აიძულეს, ეკლესია აეშენებინა. მან დაამზადა 1,7 მეტრი სიმაღლის შიშველი კარგად ნაკვები ეშმაკის ქანდაკება, რომელიც კეთილად მოღიმარი მობილური ტელეფონით საკუთარ თავს სურათს უღებს. ქალაქის საბჭომ ამ წამოწყებას მხარი დაუჭირა და მის დადგმას ესპანეთის ინკვიზიციის ყოფილი შტაბბინის მახლობლად აპირებდა.

ქანდაკების დადგმის წინააღმდეგ იბრძვის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც სეგოვიას ორმა მცხოვრებმა ქალბატონმა დააარსა. მათ მიერ შედგენილი პეტიციის თანახმად, აბეიას კეთილი ეშმაკი წარმოადგენს ბოროტების ქება-დიდებასა და შეურაცხყოფს კათოლიკეებს. მათ ხუთი ათასზე მეტი ხელმოწერის შეგროვება მოახერხეს.

აღსანიშნავია, რომ 728 მეტრი სიგრძის ძველრომაული აკვადუკი სეგოვიას ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. ითვლება, რომ მისი მშენებლობა რომის იმპერატორ დომიციანეს დროს დაიწყო, რომელიც იმპერიას პირველი საუკუნის ბოლოს მართავდა.

იაპონიაში ყველაზე ბებერი შიმპანზე მოკვდა

იაპონიაში 69 წლის ასაკში ქვეყნის უხუცესი შიმპანზე, სახელად ჯონი, მოკვდა. ზოოპარკის თანამშრომელმა მისი უსიცოცხლო სხეული 15 იანვარს ნახა.

– შიმპანზეების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 40-დან 50 წლამდე შეადგენს. ასე რომ, მან საკმაოდ დიდხანს იცოცხლა, – განაცხადა ზოოპარკის წარმომადგენელმა.

ჯონი დამთვალიერებლების წინაში 2017 წლიდან აღარ გამოჩენილა, რისი მიზეზიც მისი ასაკი იყო, ხოლო გასული წლის სექტემბრიდან, ფაქტობრივად, აღარაფერს ჭამდა.

აღსანიშნავია, რომ შიმპანზე ქალაქ კობე ოდზის ზოოპარკში აფრიკიდან 1955 წელს ჩამოიყვანეს, როდესაც ის დაახლოებით ხუთი წლის იყო. ის ადგილობრივი მცხოვრებლების უსაყვარლესი ცხოველი გახლდათ.

მაიმუნმა ტურისტს ლუდის ბოთლი გამოსტაცა და დალია

ინდოეთში მაიმუნმა ტურისტს ლუდის ბოთლი გამოსტაცა, შემდეგ კი მათ თვალწინ დემონსტრაციულად დალია. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლი ინდოეთის ანდხრა-პრადეშის შტატის ქალაქ რაჯამპეტში იქნა გადაღებული. კადრში ჩანს, რომ მაიმუნს ტურისტისთვის წართმეული ლუდის ბოთლი ორი წინა და ერთი უკანა თათით უჭირავს და სვამს. შემდეგ ის ბოთლს ძირს აწვენს და დაღვრილი ლუდის ძირიდან ახვრეპას ცდილობს, შემდეგ კი ისევ ძველი მეთოდით ცდილობს ბოთლის დაცლას.

კადრს მიღმა ორი ახალგაზრდა მამაკაცის ხმა ისმის, რომელთაგან ლუდის ბოთლი ერთ-ერთს ეკუთვნოდა. შემდეგ ერთ-ერთმა მაიმუნისთვის ბოთლის წართმევა ცადა, მაგრამ მისი აგრესიის შეეშინდა და თავი დაანება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯაჯვოხდი



1. მძარცველი, ყაჩაღი; 2. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა; 3. ... ჯიგარხანიანი; 4. სუსტი არაყი; 5. კარის საკეტი; 6. მაია ასათიანის ტელეშოუ; 7. ... ვალონე; 8. ხორციანი კორკოტი; 9. ბატონო (პოლონურად); 10. ... გაბენი; 11. ბიბლიური პერსონაჟი; 12. კოსმეტიკური კრემი; 13. ქუსლიანი დიდი ჯამი; 14. მარგარიტა ... (მსახიობი); 15. მგოსანი; 16. მეფე ლირის ასული; 17. ვირტუოზული საფორტეპიანო პიესა; 18. ვისიმე ოფიციალური მიღება მაღალი თანამდებობის პირის მიერ; 19. წინასწარი ზომების მიღება რისამე თავიდან ასაცილებლად; 20. იგივეა, რაც ამანათრბენი; 21. ხიდისებური ნაგებობა ხეობაზე ან მშრალ ხევზე; 22. დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; 23. გეომეტრიული სხეული; 24. სამკარედი სარკე; 25. სიგრძის ფრანგული საზომი ერთეული (ძვ.); 26. ჭადრაკის ფიგურა; 27. ანძებზე დამაგრებული საიალქნე ძელი; 28. იტალიური ფიჭვი; 29. საეს ტრადო ცეკვა სხეულის უხამსი მიხვრა-მოხვრით.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბარითმია; 2. სინჯი; 3. მურყვამი; 4. რიბოკი; 7. ბემბი; 9. დიუმა; 12. ეთნოგენეზი; 14. პოშეტი; 15. კრაზანა; 17. მონასპა; 20. პაქტი.

თარაზულად: 5. საქარინი; 6. პრუდონი; 8. ჰაჯიბეი; 10. საბოტაჟი; 11. კიუსიუ; 13. ათინათი; 16. კატალოგი; 18. ტონგა; 19. დაფნე; 21. ბასტია; 22. ანეკდოტი; 23. ტრაპეზი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პროცესი; 2. კანადა; 3. ახტაჯანა; 4. მიცუბიში; 7. ვაშლოვანი; 8. მჭედლიძე; 12. ზარზუელა; 14. პარაგვაი; 16. ალგებრა; 17. ბერბიჭა; 19. ბაშო; 20. რომა.

თარაზულად: 5. პრეტორია; 6. ჩიხთიკოპი; 9. ბეკინა; 10. დურუჯი; 11. ჭენჭი; 13. გაუდა; 15. ხარება; 18. ულისე; 21. ხვანჭკარა; 22. ბეროუზი 23. სორბონა.

ეროვნული ტრანსფერებში გაიხლართა

ჩახლართული სიტუაციაა იუვენტუსის სატრანსფერო ამბებთან დაკავშირებით. ტურინელები ლონდონის ჩელსის მხოლოდ გონსალო იგუაინთან დაკავშირებით არ ესაუბრებიან. საქმე არისტოკრატთა რიგებში მყოფ იტალო/ბრაზილიელ ემერსონ პალმერიზეც მიმდინარეობს.

მაურისიო სარი თანახმაა პალმერის გასხვისებაზე, მაგრამ ლონდონელები სანაცვლოდ სასუოლოში მყოფ როჯერიოს ითხოვენ, რომელიც ტურინელთა საკუთრებაა, მაგრამ იჯარით მოკრძალებულ კლუბში იმყოფება.

თავის მხრივ, სასუოლომ უარი განაცხადა ამპლუით მარცხენა მცველის ვადაზე ადრე დაბრუნებაზე და ფეხბურთელს, შეთანხმებისამებრ, ივლისში დაუბრუნებს ტურინულ გრანდს. თუმცა, ჯერ კიდევ გასარკვევია, როგორ განვითარდება მოვლენები, რადგან მათ აქვთ გამოსყიდვის უფლება, ხოლო შემდეგ იუვეს – კონტრგამოსყიდვის.

პარალელურად ტურინს კიდევ ერთხელ მიმართა ბოლონიამ, რომელსაც ლეონარდო სპინაცოლას იჯარით აყვანა სურს. ბიანკონერიმ არსებული წინადადება ამჯერადაც უარით გაისტუმრა. შესაბამისად თუ თავად სპინაცოლამ არ მოითხოვა სხვა გუნდში წასვლა, მაშინ ცვლილებებს მარცხენა ფლანგზე ნაკლებად უნდა ველოდოთ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი 21 იანვრისათვის

ვერძი – ნერვული დაძაბულობა და ფიზიკური დატვირთვა, შესაძლოა, ავადმყოფობის მიზეზი გახდეს. ახალი ნაცნობობა ხანმოკლე იქნება. **კურო** – გეგმების განხორციელებაში წვრილმანი დაბრკოლებები შეგიშლით ხელს. ნუ იყოყმანებთ, გააკეთეთ ის, რასაც საჭიროდ მიიჩნევთ. **ტყუპები** – ერიდეთ ქალაქიდან გასვლას, განსაკუთრებით – მანქანით. უმჯობესია, თუ სახლში დარჩებით და დაისვენებთ მყუდრო გარემოში. **კირჩხიბი** – დღეს უმთავრესია, შეინარჩუნოთ სულიერი წონასწორობა. ყოველგვარ ცდუნებას თავი აარიდეთ. **ლომი** – შექმნილი რთული სიტუაციიდან თქვენთვის სასარგებლო გამოსავალს მიაგნებთ. ყოფით პრობლემებზე ნუ ჩაიციკლებით. **ქალწული** – საქმის გარჩევები, კამათი და სტრესი არ აგცდებათ, თუმცა მაინც ყველაფერი თქვენს მოთმინებაზეა დამოკიდებული. **სასწორი** – კონფლიქტური დღეა, მაგრამ სერიოზულ ჩხუბამდე საქმე არ მივა. მიენდეთ ინტუიციას. **ღრიანკალი** – წინააღმდეგობრივი დღეა. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზე გაქვთ, მაინც შინაგან დაძაბულობას გრძნობთ. გულისხმას ყური უგდეთ. **მშვილდოსანი** – მოულოდნელი ინფორმაციის გამო გეგმები გეცვლებათ. დაშვებული შეცდომების გამოსწორებას მხოლოდ მოთმინებისა და სულიერი სიმშვიდის მეშვეობით მოახერხებთ. **თხის რქა** – სიფრთხილე გამოიჩინეთ ნათესავებთან ურთიერთობისას, დაუკვირდით, რას ამბობთ. წინდაუხედაობამ, შესაძლოა, დაგაზარალოთ. **მერწყული** – დღის დევიზია კომპრომისი, გულისხმიერება, გულმოწყალება. ყოფითი პრობლემების მოგვარებაში მეგობრების იმედი იქონიეთ. **თევზები** – თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობას ძალზე წაადგება ქალაქგარეთ გასვლა, სუფთა ჰაერზე სეირნობა, ბაღში მუშაობა. ინტიმურ საკითხებზე ყურადღების მეტისმეტი გამახვილება არ ღირს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

„საქართველოს ვარსკვლავმა“ საუკეთესო ათეული დაასახელა

მუსიკალურმა მეგაშოუ „საქართველოს ვარსკვლავმა“ ფინალური ათეული დაასახელა.

ჟიურის წევრებმა სტეფანე მღებრიშვილმა, ზაზა შენგელიამ, თიკო ბერძენიშვილმა და ნათია თოდუამ 22 ფინალისტიდან ის 10 საუკეთესო მომღერალი შეარჩია, რომლებიც „ევროვიზია 2019“-ის საგზურისთვის იბრძოლებენ.

ესენი არიან: ოთო ნემსაძე, გიორგი ნაკაშიძე, ნინი ცნობილაძე, მარიამ კახელიშვილი, იკაკო ალექსიძე, თამარ ლაჭყეპიანი, დიმა კობეშავიძე, ლიზა კალანდაძე, გიორგი ფრუიძე და ბესო ნემსაძე.

ფინალისტების დასახელებამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი გამოხმაურება გამოიწვია. ნაწილს მიაჩნია, რომ უკვე გამოცდილი და შემდგარი მომღერლები დამწყებ და ნიჭიერ მომღერლებს ხელს არ უნდა უშლიდნენ, ნაწილი კი თვლის, რომ ევროვიზიას სწორედ გამოცდილი მომღერლები სჭირდება.

„საქართველოს ვარსკვლავის“ ლაივშოუები თბილისის საკონცერტო დარბაზში 26 იანვრიდან გაიმართება, თითო ტურში კონკურსს თითო მონაწილე გამოეთიშება, არჩევანს კი მაყურებელი გააკეთებს, რადგან სწორედ ხალხის ხმა იქნება გადამწყვეტი იმ ინოვაციური ხმის მიცემის სისტემით, როდესაც კონკურსანტების მხარდაჭერა ფეისბუქმესენჯერის საშუალებით იქნება შესაძლებელი.

დემნა გვასალიას ახალი კოლექცია — „ღორის გრიპს გადავურჩი, ამიტომ ახლა ვეგანი ვარ“

დიზაინერმა დემნა გვასალიამ ახალი კოლექციის ჩვენება მოაწყო. „ვეტმანის“ ბრენდმა 2019 წლის შემოდგომა ზამთრის უახლესი კოლექცია წარმოადგინა.

დემნას კოლექციის მთავარი თემა ღორის გრიპი, სმარტფონებზე დამოკიდებული ახალგაზრდების მარტოობა, თავდაბურული ქალები, სტივ ჯობსის გაცოცხლებული სტილი და საპრეზიდენტო არჩევნები იყო.

„ღორის გრიპს გადავურჩი, ამიტომ ახლა ვეგანი ვარ“ – ასეთი წარწერა ამშვენებდა დემნას მიერ შექმნილ ერთ-ერთ მაისურს.

კოლექცია პარიზში გარეული ცხოველებით გაფორმებულ დარბაზში აჩვენეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველი დიზაინერის ჩვენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ვეტმანის ჩვენებას ესწრებოდნენ სუპერმოდელი ნატალია ვოდიანოვა და დემნას მეგობარი რენატა ლიტვინოვა.

ქართველი დიზაინერის კოლექციის ჩვენებაში მონაწილეობა მიიღეს სამოდელო სააგენტო ჯეომოდელსის მოდელებმა თეოშა კუბლაშვილმა, ვახო ქამუშაძემ და ვახო კედელაძემ.

დათა თავაძის სპექტაკლი კარლსრუეში ბოლოჯერ გათამაშდება

ქართველი რეჟისორის დათა თავაძის მიერ კარლსრუეში დადგმული სპექტაკლი „ვეფხვი და ლომი“ ბოლოჯერ გათამაშდება.

ინფორმაცია ამის შესახებ რეჟისორმა თავად გაავრცელა:

– ჩვენი „ვეფხვი და ლომი“ კარლსრუეს სახელმწიფო თეატრისა და სამეფო უბნის თეატრის კოპროდუქციაა. ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ ვიქნები. ყოველთვის გამორჩეულად მეყვარება ეს სპექტაკლი ძალიან ბევრი მიზეზის გამო... წავედი, სანამ ავტირებულვარ... წარმატებებს ვუსურვებ მსახიობებს და მადლობას ვუხდი ყველაფრისთვის ყველას! პ.ს. ასევე არასოდეს დამავიწყდება თბილისის საერთაშორისო თეატრის ფესტივალისა და, ზოგადად, ჩვენი მაყურებლის დიდი სიკეთე. მიყვარხართ ყველა და მადლობას გიხდით ყველაფრისთვის.

მზექალა შანიძე ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბრწყინვალების ორდენით დაჯილდოვეს

ქართველი ენათმეცნიერი და ფილოლოგი მზექალა შანიძე ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბრწყინვალების ორდენით დაჯილდოვეს.

მზექალა შანიძეს ჯილდო მისი 93-ე დაბადების დღის აღსანიშნავად ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსანთა დასმა და ფონდმა „ქართველი“ გადასცეს.

დაჯილდოება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართა.

მზექალა შანიძე 100 სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიებისა და თარგმანების ავტორია. იგი წლებია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიისა და ქართული ლიტერატურის მეცნიერებათა დოქტორი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრია, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული ენის შესწავლის საქმეში.

ბარბარა სამხარაძე: „როცა ოთახში იქნებით მარტო და ცხოვრებაზე ხელის ჩასაქნევად მოემზადებით, გამიხსენეთ მე“

ასე ამშვიდებს ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ ადამიანებს „ნიჭიერის“ ერთ-ერთი სეზონის გამარჯვებული ბარბარა სამხარაძე და დარწმუნებულია, რომ ყველაზე ლამაზ ზღაპრებსაც საშინელი დასაწყისი აქვს:

– როცა ოთახში იქნებით მარტო და ცხოვრებაზე ხელის ჩასაქნევად მოემზადებით, გამიხსენეთ მე, ერთი სოფლელი გოგო, რომელმაც სავარცხლითა და ჯოხებით დაიწყო სიმღერა, სცენაც მხოლოდ ერთ გადაჭრილ მორს შეადგენდა, ხოლო ამბიციებს ერთ პატარა ფურცელზე ტევდა.

ყველაზე ლამაზ ზღაპრებსაც საშინელი დასაწყისი აქვს...

დიდი ხნის დაკვირვების შედეგად დავადგინე, რომ, როცა ადამიანები საუბრობენ გარკვეულ თემებზე, არასდროს ეხებიან პრობლემებს, რომლებიც საკუთარი თავიდან გამომდინარეობს. ნუთუ არ გაგჩენიათ სურვილი, ვინმეს მოუყვეთ თქვენი ისტორია და მასთან ერთად იტიროთ, ვინმეს, თუნდაც უცხოს.

არ არსებობს ცუდი ადამიანი, მხოლოდ ცხოვრებამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის გაბოროტება, როგორც ცუდმა შემთხვევებმა, ასევე – ბევრმა კარგმა მოვლენამაც.

შეიძლება, არ ვიყოთ ბოროტები, მაგრამ ძალიან დაუდევრები ვართ, დიახ, მეც ვარ, არ გეგონოთ, ,საკუთარ თვალში დირეს ვერ ვხედავ.

ერთი რამ ნათელია, სხვისი ნაკლის შემჩნევითა და ამის საჯაროდ გამოხატვით ჩვენ შიგნით არსებულ სისუსტეს უფრო ადვილად ვმალავთ...

შეიძლება, ისიც გაიფიქროთ, მსუქანია და ამიტომ წერს ასეთ თემაზეო, სხვებმა რომ აღარ დასცინონო, ან წერას არ სჯობს, თავს მიხედოს და გახდესო?

კი... მართალია... მაგრამ, როგორც წელან აღვნიშნე, არავინ იცის, ჩემი „ქონების“ (ორივე მნიშვნელობით) მიღმა რა იმალება, ტკივილი თუ დიდი ბედნიერება.

დაინტერესდით ერთმანეთის ტკივილით, მე თქვენ მჭირდებით, თქვენ მე... იქნებ შევძლოთ უბრალო სიტყვებით ერთმანეთის გადარჩენა.

„ყველაფერი კარგად იქნება.... მერე რაა?!“

ქლოე კარდაშიანმა ანუკი არეშიძის მოსაცმელში იპოზიორა



კარდაშიანების ცნობილი გვარის ერთ-ერთმა წევრმა ქლოე კარდაშიანმა ქართველი დიზაინერის ანუკი არეშიძის მოსაცმელში იპოზიორა.

ფოტო და ვიდეო მსოფლიო ვარსკვლავმა ინტერნეტში გაავრცელა, სადაც ჩანს, რომ ანუკის მიერ შექმნილი ვერცხლისფერი მოსაცმელით აღფრთოვანებულია.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ანუკის შემოქმედება მსოფლიო ვარსკვლავებს მოსწონთ. მომღერლებმა, მსახიობებმა, წამყვანებმა თუ მოცეკვავეებმა ანუკის კოლექციიდან შერჩეული სამოსი არაერთხელ მოირგეს.

სოფია სებისკვერაძე ხელისუფლებას აკრიტიკებს

ახმეტელის თეატრის მსახიობი სოფია სებისკვერაძე ხელისუფლებას აკრიტიკებს და სულ წარსულისკენ ხელის გაშვერას სირცხვილს უწოდებს:

– თუ არ მოგწონთ და თვლით, რომ გასასწორებელი და დასახვეწია, შეცვალეთ ეს კანონები და გაატარეთ ახალი და „ჯანსაღი“ რეფორმები. 6 წელზე მეტია, თქვენ ხართ ხელისუფლებაში, დედას გეფიცებით! თქვენ ხართ! თქვენ, ეს დედანატირები და ისევ იმ 9 წელს ნუ აბრალებთ ყველაფერს და ამით თავს ნუ იძვრენთ ვალდებულებებისგან და თვალებს ნუ გვიხვევთ!

ადამიანების სიცოცხლე არის უდიდესი და უპირველესი ღირებულება! და სულ წარსულში ხელის გაშვერა – სირცხვილი!

კირა მებუკეს მახათას პანთეონში დაკრძალავენ

ქართული პანტომიმის დედოფალ კირა მებუკეს მახათას პანთეონში დაკრძალავენ.

ქართველი მსახიობი ქალი 66 წლის ასაკში მეუღლის გარდაცვალებიდან 2 თვეში გარდაიცვალა.

კირა მებუკესთან გამოსამშვიდობებლად სამოქალაქო პანაშვიდები პანტომიმის თეატრში გაიმართება, სამშაბათს კი ამავე თეატრიდან მსახიობს ოჯახის წევრები, მეგობრები, კოლეგები და რიგითი თაყვანისმცემლები უკანასკნელ გზაზე გააცილებენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პოლიცია ამერიკელებს სახელმწიფოს ხარჯზე დათრობას სთავაზობს

ამერიკის პენსილვანიის შტატში პოლიცია ეძებს მოხალისეებს, რომლებიც მზად იქნებიან, სახელმწიფოს ხარჯზე დათვრნენ.

შტატის პოლიციამ ფეისბუქში გამოაქვეყნა განცხადება, რომლის თანახმადაც, სამ მოხალისეს ეძებს, რომლებიც მზად არიან, მონაწილეობა მიიღონ ნასვამი მძღოლების ამოცნობის ვარჯიშებში. მოხალისეებმა იმდენი მაგარი ალკოჰოლური სასმელი უნდა მიიღონ, რომ გონების დაკარგვამდე გამოთვრნენ.

პოლიციელთა თქმით, იდეალური კანდიდატების ასაკი 25-დან 40 წლამდე უნდა იყოს. მათ არ უნდა ჰქონდეთ ჯანმრთელობის პრობლემები, ასევე არ უნდა იყვნენ ალკოჰოლზე ან ნარკოტიკებზე დამოკიდებულნი და ნასამართლევნი. მოხალისეებმა ხელი უნდა მოაწერონ საბუთს, რომლის თანახმადაც, საკუთარ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობის ვინმეზე დაკისრებაზე უარს აცხადებენ და ასევე თან უნდა მოიყვანონ ისეთი ადამიანი, რომელიც შემდეგ მათ სახლში წაიყვანს.

– ალკოჰოლში ფულის გადახდა არ მოგიწევთ, თუმცა დაკარგულ დროს არავინ აგინაზღაურებთ, – ხაზგასმით აღნიშნეს პოლიციელებმა.

ორ დღეში პოლიციელებმა აურაცხელი განცხადება მიიღეს. სამი მოხალისე უკვე შეარჩიეს და ახლა უკვე ითხოვენ, ამ საკითხზე აღარავინ შეაწუხონ.

კალეიდოსკოპი

შვედეთის მეფის გვირგვინის ქურდობა გახსნილია

XVII საუკუნის დასაწყისში შვედეთის მეფისა და დედოფლის ძვირფასეულობის გატაცებაში ერთ-ერთ ეჭვმიტანილს ბრალი წაუყენეს.

ქურდობა 2018 წლის 31 ივლისს მოხდა. ბოროტმოქმედებმა ქალაქ სტრენგნესის საკათედრო ტაძარში ვიტრინა ჩაამსხვრიეს და ორი ოქროს გვირგვინი და კვერთხი გაიტაცეს, რომლითაც თავის დროზე მეფე კარლ IX და მისი მეორე მეუღლე კრისტინა შლეზინგ-გოლშტეინ-გოტორპსკი დაკრძალეს. ისინი 65 მილიონ შვედურ კრონად იყო შეფასებული.

როდესაც სიგნალიზაცია ამუშავდა, ქურდები ველოსიპედებზე დასხდნენ და ფერდობით ტბა მელარენის ნაპირამდე დაეშვნენ. ისინი მათ მომლოდინე ძრავიან ნავში ჩასხდნენ და მიიმალნენ. პოლიციაში ვარაუდობდნენ, რომ ბოროტმოქმედებმა მდევრისგან თავის დაღწევა ტბების ფართო ქსელის დახმარებით მოახერხეს, რომელიც სტოკჰოლმის დასავლეთით მდებარეობს.

ველოსიპედსა და ადგილზე დატოვებულ ერთ-ერთ საგანზე სისხლის კვალი იქნა აღმოჩენილი. დნმ-ის ანალიზმა სამართალდამცავებს მისი მფლობელის პიროვნების დადგენისა და 22 წლის მამაკაცის დაპატიმრების საშუალება მისცა. ასევე დაკავებულია მისი თანამზრახველიც და ის ბრალდების წაყენებას ელის.

მოპარული გვირგვინებისა და კვერთხის ძებნა გრძელდება.

– ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ისინი უკვე შვედეთის ტერიტორიაზე აღარ იმყოფებიან, – განაცხადა გამომძიებელმა ფილიპო ბასინიმ.

სასამართლოს თარიღი ჯერჯერობით დანიშნული არ არის. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დამნაშავეებს ექვს წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

პოკერის მოთამაშე მოგებულ ნახევარ მილიონ დოლარს გაჭირვებულებს დაურიგებს

პოკერის კანადელმა პროფესიონალმა მოთამაშე სკოტ ველენბახმა ნახევარ მილიონ დოლარზე მეტი მოიგო და განაცხადა, რომ თანხას მთლიანად ქველმოქმედებას მოახმარს.

კანადელმა მესამე ადგილი დაიკავა პოკერის ტურნირში, რომელიც ბაჰამის კუნძულებზე გაიმართა. მისმა მოგებამ 671,2 ათასი დოლარი შეადგინა. ის მთელი თანხის საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის გადაცემას გეგმავს.

ველენბახი ბუდიზმის მიმდევარია და მიიჩნევს, რომ სწორედ რელიგიური პრაქტიკა მედიტაციის სახით დაეხმარა თამაშში წარმატების მიღწევაში. 67 წლის მამაკაცი განმარტავს, რომ დროთა განმავლობაში უფრო მეტად ხვდება, თუ რა ხდება მის გონებაში და მოახერხა საკუთარი ემოციების გაკონტროლება.

– როგორც კი ხვდები, თუ რა ხდება შენს თავს, მთელი ეს ემოციები და ფიქრები ნაკლებ გავლენას ახდენს შენზე და ახერხებ, მთელი ყურადღება გადაიტანო იმაზე, რაც შენ წინ მაგიდაზე ხდება, – განმარტა კანადელმა.

მან გადაწყვიტა, მთელი თანხა ქველმოქმედებაზე დახარჯოს, ვინაიდან, თავისი რწმენის თანახმად, სიკეთე უნდა აკეთოს. მას მიაჩნია, რომ აზარტული თამაშების სიყვარული ბუდისტისთვის ღირსეულ საქციელს არ წარმოადგენს, თუმცა თავის ამ დანაშაულს გაჭირვებულების დახმარებით გამოისყიდის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

21 იანვრისთვის

აშშ დოლარი — 2.6629

ევრო — 3.0368

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4463

100 რუსული რუბლი — 4.0103

ამინდის პროგნოზი 21 იანვრისთვის

15 იანვრიდან

ჯემალ ჩახავა

ქურდები და არიფები

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

17 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

ვინ მოკლა ინსპექტორი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

22 იანვრიდან



მაკა სეფაშვილი

დანაშაული აღარ მოხდება

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ამერიკელს ხურდა ფულის სიძულვილმა ათასები მოაგებინა



ამერიკელმა მამაკაცმა გამყიდველს სთხოვა, რომ მისთვის კუთვნილი ხურდა ფულის ნაცვლად ლატარიის ბილეთი მიეცა და ჯეკპოტი მოხსნა.

2018 წლის ნოემბერში ქალაქ ბალტიმორის მკვიდრმა ლატარიის ბილეთი პროდუქტების ერთ-ერთ მაღაზიაში შეიძინა. 28 წლის მამაკაცი ასეთ დროს ჩვეულებრივ ბანკის ბარათით სარგებლობდა, მაგრამ ამ ჯერზე მას ნაღდი ფულის გადახდა მოუხდა. ის საფულეში ხურდა ფულის ჩხრიალს ვერ იტანდა და ამიტომ გამყიდველს სთხოვა, ხურდის ნაცვლად მისთვის რომელიმე ლატარიის ბილეთი მიეცა.

შემდეგ მან ლატარიის ბილეთი თავისი მანქანის ხელსაწყოთა დაფის უჯრაში ჩადო და დაივიწყა. იანვარში კი მამამ, რომელიც მუდმივად თამაშობდა ლატარიას, შეახსენა შვილს, რომ მას ლატარიის ბილეთი ჰქონდა შეძენილი. მან ბილეთი მოძებნა და მამას სთხოვა მისი შემოწმება. ბილეთი მომგებიანი აღმოჩნდა. მან ახალგაზრდა მამაკაცს 50 ათასი დოლარი მოუტანა.

– ხურდას ვერ ვიტან და სწორედ ამიტომ ვთხოვე გამყიდველს, ლატარიის ბილეთი მოეცა. ჩემს ცხოვრებაში სულ ოთხი ლატარიის ბილეთი თუ მექნება შეძენილი, – განაცხადა მამაკაცმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

მთვარეულმა გოგონას ძილში ხელი სთხოვა და დაავიწყდა

Reddit-ს მომხმარებელმა განაცხადა, რომ გოგონას ძილში ხელი სთხოვა და ამის შესახებ მხოლოდ მეორე დილით გაიგო.

მამაკაცი ამტკიცებს, რომ დაძინებას ვერ ახერხებდა და ოთხი აბი ძილის წამალი მიიღო. დილით აღმოაჩინა, რომ გოგონას თითზე იაფფასიანი ნიშნობის ბეჭედი ეკეთა, რომელიც ოდესღაც იყიდა და შემდეგ მის გაყიდვას აპირებდა. გოგონამ აუხსნა, რაც მოხდა.

მამაკაცს არაფერი ახსოვდა და გაოგნებული იყო. ფეისბუქის გახსნისას აღმოაჩინა, რომ გასულ ღამეს ისე გამოუქვეყნებია ინფორმაცია საკუთარი ოჯახური მდგომარეობის შეცვლის თაობაზე, რომ არც კი გაუღვიძია.

– კიდევ წელიწად-ნახევარი არ ვაპირებდი ნიშნობის გამართვას, – წერს მამაკაცი, – მაშინ კი უკეთეს ბეჭედს შევიძენდი, მაგრამ Ambien-მა ეს პროცესი ათმაგად დააჩქარა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

●●●

მოხუცმა ოქროს თევზი დაიჭირა. თევზი ეკითხება:

– მოხუცო, შენი ცოლი ისევ ცოცხალია?

– კი, ცოცხალია.

– მაშინ კარგად დაფიქრდი შენს პირველ სურვილზე!

●●●

სახლში დაბრუნებული შვილი მშობელს ეუბნება:

– მამა, რატომ ფიქრობ, რომ რადგან დაბადების დღეზე ვიყავი, უეჭველად დავთვრებოდი?

– მე მამა კი არა, დედა ვარ!

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:

– შეიძლება, რომ ადამიანი ერთდროულად ბედნიერიც აღმოჩნდეს და უბედურიც?

– იცი, რომ შენ ყველაზე დიდი გაქვს ჩვენს სოფელში?

– რაა?!

●●●

ერთი რუსი მეორეს ეუბნება:

– იცი, როდესაც ყატარში ნავთობის საბადო აღმოაჩინეს, ერთმა ბედუინმა 35 წელიწადში თავისი ქვეყნის მოსახლეობა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მდიდრად აქცია. ჩვენთან კი ნავთობიც იპოვეს, გაზიც, ოქროც, ალმასიც, პლატინაც და თითქმის ყველაფერი, რაც კი დედამიწაზე მოიპოვება, მაგრამ ბედუინის პოვნა ვერაფრით მოხერხდა.

●●●

ქსოვილების მაღაზიაში შესული სექსუალური ქალი გამყიდველ მამაკაცს ეკითხება:

– რა ღირს ის ქსოვილი?

– ერთი მეტრი ერთი კოცნა.

– კარგი, ხუთ მეტრს ავიღებ.

როდესაც გამყიდველმა ქსოვილი მოუჭრა და გაუხვია, ქალმა კარი გამოაღო და გარეთ გასძახა:

– გივი, მოდი, გამყიდველს ანგარიში გაუსწორე!

●●●

წარწერა საგზაო ნიშნის „გასწრება აკრძალულია“ ქვეშ.

„პატივცემულო ქალბატონებო, ეს საგზაო ნიშანი მხოლოდ წითელი და შავი ფერის მანქანებზე არ ვრცელდება!!!“

●●●

ბრძენს ეკითხებიან:

– რა ჰქვია ქალს, რომელმაც ყოველთვის იცის, თუ სად იმყოფება მისი ქმარი?

– ქვრივი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჭურჭლის მრეცხავი სამსახურიდან გაშვებისთვის მილიონებს მიიღებს

აშშ-ში ჭურჭლის მრეცხავი კვირა დღეს მუშაობაზე უარს ამბობდა, რისთვისაც ის სამსახურიდან დაითხოვეს. ქალმა სასამართლოში იჩივლა და კომპენსაციის სახით მილიონობით დოლარს მიიღებს.

ამერიკაში ჰაიტიდან ჩასულმა მარი ჟან პიერმა 10 წელზე მეტი იმუშავა ფლორიდის შტატის ქალაქ მაიამის ჰილტონის ერთ-ერთ სასტუმროში, თუმცა 2006 წელს იმ მომენტისთვის 58 წლის ქალი სამსახურიდან გაათავისუფლეს იმის გამო, რომ ზედიზედ ექვს კვირა დღეს არ გამოცხადდა სამსახურში.

პიერმა ეს უკანონობად ჩათვალა, ვინაიდან სამსახურში მიღების დროს მან ხელმძღვანელობა გააფრთხილა, რომ ის კვირა დღეს სამსახურში ვერ მივიდოდა თავისი რელიგიური რწმენის გამო.

– მე მიყვარს ღმერთი. არავითარი მუშაობა კვირა დღეს, ვინაიდან ამ დღეს უფალს ვადიდებ, – განუცხადა ქალმა ჟურნალისტებს.

– ისინი მის სურვილს წლების განმავლობაში ითვალისწინებდნენ და იგივე შეეძლოთ გაეკეთებინათ ბოლო ხანებშიც, მაგრამ ამის ნაცვლად მათ ისე მოაწყვეს, რომ მას სამსახური გაეცდინა და შემდეგ სამსახურიდან გააგდეს. ის ქრისტეს მეომარია. ის ამას ყველა იმ დანარჩენი თანამშრომლებისთვის აკეთებს, რომლებიც დისკრიმინაციას განიცდიან, – აღნიშნა ქალის ადვოკატმა.

ფედერალურმა მოსამართლემ საქმის განხილვის შემდეგ გამოიტანა დადგენილება – ქალისთვის კომპენსაციის სახით 21 მილიონი დოლარის გადახდა მისთვის მიყენებული ზარალისთვის, ასევე მას უნდა აუნაზღაურონ 35 ათასი დოლარის სახელფასო დავალიანება და 500 ათასი დოლარის კომპენსაცია მორალური ზარალის ასანაზღაურებლად.

სასტუმროს წარმომადგენლები მოსამართლის გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან და მის გასაჩივრებას აპირებენ.

მარად ახალგაზრდა ავსტრალიელმა საკუთარი გარეგნობის საიდუმლო გაამხილა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის მკვიდრმა ბელინდა ნორტონმა იმის შესახებ ისაუბრა, თუ როგორ ახერხებს, 41 წლის ასაკში ორჯერ უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდეს.

ნორტონი მიიჩნევს, რომ ახალგაზრდული გარეგნობის შენარჩუნებაში მას პოზიტიური განწყობა, მასაჟის ყოველთვიური სეანსები და მეგობრებთან ხშირი ურთიერთობა ეხმარება.

– იმაზე უკეთესი არაფერია, ვიდრე მეგობრებთან შეხვედრები ვარჯიშებზე, საღამოს გასეირნებების ან თუნდაც საუზმის დროს. გოგონებისთვის აუცილებელია რეგულარულად ერთმანეთთან გულთბილი გასაუბრებები და ამ საშუალებით სტრესისგან გათავისუფლება, – აღნიშნა ავსტრალიელმა.

ის მასაჟებს აუცილებლობად მიიჩნევს და არა ფუფუნებად. მისი აზრით, მასაჟის შედეგად კუნთები უფრო მოქნილი ხდება, ადამიანი კი – უფრო მოძრავი. მისი ორგანიზმიდან ტოქსინები გამოიდევნება, რის შედეგადაც სხეული უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება, ხოლო კანი უფრო ჯანმრთელ ელფერს იძენს.

ის ადამიანებს ურჩევს, დიეტის დაცვის ნაცვლად ჯანსაღ კვებაზე გადავიდნენ და საკვები დღეში ექვსჯერ მიიღონ, ხოლო ყოველ ჯერზე ულუფა ორ მუშტზე ნაკლები არ უნდა იყოს. ყოველდღიურ რაციონში უნდა ჰქონდეთ ისპანახი, ნუში, ორაგული და ბოსტნეული. საკვების მიღების წინ უნდა დალიონ დიდი ჭიქა წყალი. ალკოჰოლსა და შაქრიან სასმელებზე უარი უნდა თქვან.

ნორტონის მტკიცებით, ის სპორტით რეგულარულად არის დაკავებული, თუმცა სირბილს თავს არიდებს, ვინაიდან ფიქრობს, რომ მას სხეული სტრესულ მდგომარეობაში შეჰყავს, ამიტომ უპირატესობას სიარულს ანიჭებს.

ის ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჯანსაღ ძილს. ნორტონი ადრე წვება დასაძინებლად. ძილის წინ არ სარგებლობს სოციალური ქსელებით, იღებს აბაზანას, კითხულობს წიგნს ან სეირნობს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი



თარაზულად: 1. უმცროს მეთაურთა სამხედრო წოდება რიგ არმიებში; 4. ჩოგბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 7. შხამიანი გველი; 9. საგრილობელი; 12. ქრისტიანული მღვდელმსახურების დროს ხმარებული სურნელოვანი ზეთი; 13. ... კუროსავა; 14. მოდუღებული ყურძნის წვენი; 17. რუსი კომპოზიტორი (XIX ს.); 18. ზეთოვანი მცენარე; 19. წითელი ხავერდის საზეიმო მოსასხამი მეფეებისთვის; 20. ზნეობა.

შვეულად: 1. უგონო მდგომარეობა; 2. რუსეთის ფულის ერთეული; 3. ქალაქი იტალიაში; 4. ხომალდის ტვირთი; 5. პატარა სატვირთო-სამგზავრო ავტომობილი; 6. საგნის პირუკუ გამოსახულება ფირზე (შავი თეთრად და პირიქით); 8. კალიფორნიის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი; 10. შავყურძნოვანი ვაზის ჯიში; 11. დღესასწაულიმასკარადი ღია ცის ქვეშ; 14. შეძახილი „ვაშა!“ იაპონურად; 15. თმის სუროგატი; 16. ზეგანი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ